5 ეგზ №96

ჩვენს გაზეთზე ხელმოწერის ვადა გაგრძელებულია 5 დეკემბრამდე.

გამოიწერეთ, უგაზეთოდ არ დარჩეთ!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 253 (781) | სამშაბათი, 30 ნოემბერი, 1993 წელი. | ფასი 200 კუპონი

პირველი სვეტი

თავდასხმის მცდელობა

27 ნოემბერს, როცა თბილისის აეროპორტისაკენ მიემართებოდა საქართველოს დელეგაცია, რომელიც ჟენევაში მიფრინავდა აფხაზეთში ვითარების მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკებაში მონაწილეობისათვის, უცნობმა პირებმა სცადეს აეფეთქებინათ ავტომობილი, რომელშიც უნდა ყოფილიყო დელეგაციის მეთაური, საგანგებო წესების დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე ჯაბა იოსელიანი. ავტომობილში იგი არ აღმოჩნდა. მასში ისხდნენ იოსელიანის დაცვის თანამშრომლები. საბედნიეროდ, არც ერთი მათგანი არ დაშავებულა. როგორც საქართველოს უშიშროების მინისტრმა იგორ გიორგაძემ განაცხადა, მისი სამსახური ინფორმირებული იყო შესაძლო თავდასხმის თაობაზე და განახორციელა სიფრთხილის შესაბამისი ღონისძიებანი, მაგრამ, სამწუხაროდ, ტერორისტული აქტის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა. ამის გამო დელეგაციის გაფრენა ჟენევაში რამდენიმე საათით შეფერხდა.

დაიპყრეს ქართული სოფლები

მოსკოვი, 29 ნოემბერი, (იტარ-ტასი-საქინფორმი). აფხაზეთის სვანეთის სამი მაღალმთიანი ქართული სოფელი — ლატა, ჩხალთა და აჟარა დაიპყრეს აფხაზთა ფორმირებებმა 25 ნოემბერს დაწყებული შეტევის შედეგად. როგორც დღეს იტარ-ტასის კორესპონდენტს ტელეფონით აცნობეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრში, ადგილობრივი თავდაცვის ძალების მებრძოლებსა და სოფლების მცხოვრებთა შორის არიან დახოცილები და დაჭრილები.

ამავე წყაროს მონაცემებით, აფხაზთა ფორმირებები მზად არიან აფხაზეთის სვანეთზე შეტევის მეორე ეტაპისათვის. როგორც ჩანს, სამი დაპყრობილი სოფლის ზედა ელის ამ მთიანი მხარის კიდევ ორ დასახლებულ პუნქტს — გენწვიშსა და საკენს.

დააპატიმრეს... ურანის გაყიდვისათვის

თურქეთის პოლიციამ ქალაქ ბურსაში დააპატიმრა საქართველოს სამი მოქალაქე, რომლებიც ცდილობდნენ ადგილობრივ ბაზარზე გაესაღებინათ 4,5 კილოგრამი ურანი. როგორც ანატოლიის სააგენტო ოფიციალური წყაროების დამოწმებით იუწყება, რადიაქტიური საქონლის ვაჭრებმა, როგორც კი მყიდველებში სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული პოლიციელები შეიცნეს, ცეცხლი გახსნეს, ატეხილი სროლის შედეგად სამივე ქართველი „ბიზნესმენი" დაიჭრა.

საშიში საქონლის ვაჭრები, განაცხადა ბურსის პოლიციის უფროსმა, აპირებდნენ კილოგრამი ურანი გაეყიდათ 150 ათას დოლარად. კონფისკებული ურანი გამოსაკვლევად გაეგზავნა სტამბოლის ბირთვული ენერგიის ინსტიტუტს. პოლიცია იძიებს მომხდარ ამბავს.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ედუარდ შევარდნაძე:

ახალი საპარლამენტო არჩევნები რეალური პოლიტიკური ძალების, რეალური გავლენებისა და რეალური ავტორიტეტების დამკვიდრებამდე მიგვიყვანს

— **პარლამენტის** 25 ნოემბრის სხდომაზე გამოიკვეთა ახალი საპარლამენტო არჩევნების იდეა. გახდება თუ არა ახალი საპარლამენტო არჩევნები საქართველოს ცხოვრებაში ის რუბიკონი, რომელიც განსხვავებული პოზიციის მქონე პოლიტიკურ ძალებს რაღაც კონსენსუსის მოძებნაში დაეხმარება? — კომენტატორ ნატო ონიანის ამ კითხვით დაიწყო პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის რადიოინტერვიუ.

— პარლამენტის ეს სხდომა სერიოზულ გაკვეთილად უნდა იქცეს თვითონ პარლამენტის, დემოკრატიული ძალებისა და მთელი ჩვენი მოსახლეობისთვის. ზოგადად თუ ვიტყვით, ერთხელ კიდევ შეიძლება ხაზი გაესვას იმას, რომ ქვეყანა და ხალხი ფხიზლად უნდა იყვნენ, რადგან რეალურად არსებობენ ძალები, რომელთაც სურთ გადაგვახვევინონ დემოკრატიული განვითარების, ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის გზიდან, რომლითაც ჩვენ უნდა ვიაროთ. ასეთი ძალები არსებობენ ჩვენს საზოგადოებაში და მათ შორის — პარლამენტშიც. ამაზე ყველამ უნდა ვიფიქროთ და არ უნდა გაუბრალოვდეს ის, რაც მოხდა, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა.

რაც შეეხება ახალი არჩევნების იდეას, რომლის შესახებაც ითქვა ჩემს გამოსვლაში, იმ კონტექსტით, რომ დავაჩქაროთ კონსტიტუციაზე მუშაობის პროცესი, და შესაბამისად, დავაჩქაროთ არჩევნების გამართვა, იგი საკმაოდ მომწიფებულია, თუმცა, სადღეისო არ არის. უახლოეს ერთ-ორ თვეში ამის გაკეთება შეუძლებელია, მაგრამ აუცილებელია ამ საკითხზე ფიქრი. ჩემი აზრით, ახალი არჩევნები რეალური პოლიტიკური ძალების, რეალური გავლენებისა და რეალური ავტორიტეტების დამკვიდრებამდე მიგვიყვანს. იმისთვის, რომ წინა არჩევნებში ფართო პოლიტიკური სპექტრი გამოსულიყო ასპარეზზე, არჩევნების დებულებაც და მისი მთელი სისტემაც ამ მიზანს დაექვემდებარება. ხალხი ვერც კი გაერკვა, ბოლოს და ბოლოს, თუ ვინ ვის როგორ უნდა აერჩია. მე ვიტყოდი, რომ სათბურის პირობები შეიქმნა მრავალი მცირერიცხოვანი და არცთუ ისე გავლენიანი პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების ბლოკები პარლამენტში არჩევისთვის. მე როდი ვამბობ, რომ ეს ცუდია, ალბათ, ასე უნდა ყოფილიყო. უნდა შემოწმებულიყო, თუ ვინ რას წარმოადგენს, რომელ პარტიას რა გააჩნია, რამდენად შეუძლია იკისროს პასუხისმგებლობა არა სიტყვით, არამედ საქმით. მომავალი არჩევნები რეალურ ძალთა ასპარეზზე გამოსვლა და დამკვიდრება იქნება. ასე ვხედავ მე ახალი, მომავალი არჩევნების პერსპექტივას.

ხშირად, როცა ამა თუ იმ ქვეყანაში ღრმა კრიზისია, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის ოპოზიციური ძალა, რომელიც სწორედ ამ ოპოზიციურ ტალღაზე ცდილობს ქულების დაგროვებას, რაღაც პროგრამის შემუშავებას და ამ პროგრამის საფუძველზე არჩევნებში გამარჯვებას, ბუნებრივია, იმ იმედით, რომ დაიმკვიდრებს ადგილს სახელმწიფო ხელისუფლებაში. განსხვავებით ამისა, და ეს არც ისე ხშირი შემთხვევაა პრაქტიკაში, საქართველოს მოქალაქეთა კავშირი ასპარეზზე გამოდის არა ოპოზიციური მოწოდებებით, ლოზუნგებითა და პრინციპებით, არამედ გამოდის იმ ლოზუნგით, რომ გადავარჩინოთ ქვეყანა. მისი ამოცანაა არა ხელისუფლების, რომელიმე ნორმალური პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ ქვეყნის გადარჩენის იდეა ხელისუფლებასთან ერთად და მისი დახმარებით. ასეთია ჩვენი კავშირის მიზანი, მიუხედავად იმისა, თუ რას უწოდებენ მას, ზოგი კომუნისტობაში სდებს ბრალს და ა. შ. ხალხი გაარკვევს — ვინ რას წარმოადგენს. ვფიქრობ, რომ პოლიტიკური არჩევანი, რომელიც გააკეთა საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა და მისმა დამფუძნებელმა ორგანიზაციებმა, ერთადერთი სწორი და სერიოზული მიდგომაა ქვეყნის დღევანდელი პრობლემებისადმი. კავშირი ის ძალაა, რომლის მიზანი არ იქნება ხალხის აღშფოთების გამოწვევა სირთულეთა გამო და განტევების ვაცის ძებნა. ამას დიდი ჭკუა და გონი არ სჭირდება. ეს ყველა დიდ თუ პატარა პარტიას შეუძლია, რაც შესამჩნევადაც ჩანს ჩვენს პარლამენტში. კავშირის მიზანი ის არის, რომ რეალურად ვიბრძოლოთ მოსახლეობის ინტერესებისათვის მთელ ხალხთან ერთად.

გუშინ, მაგალითად, გამგეობამ განიხილა პურით ვაჭრობის საკითხი. მოიარეს პურის ქარხნები, მაღაზიები, შეხვდნენ ათასობით ადამიანს და ბევრი რამ საგულისხმო და ძალზე მნიშვნელოვანი მიკარნახეს იმისთვის, რომ პრაქტიკული ღონისძიებანი განვახორციელოთ პურით ვაჭრობის გასაუმჯობესებლად. ასევე გუშინ ძალიან მწვავედ და სერიოზულად დადგა საკითხი ენერგეტიკულ კრიზისთან დაკავშირებით, როგორ უნდა მოწესრიგდეს ეს სისტემა. და გუშინვე გარკვეული რამ გაკეთდა იმისთვის, რომ ის რესურსები, რომლებიც აქვს სახელმწიფოს, უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ. მე ასე მესახება, რომ კავშირისთვის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ის, რაც ხალხს აძლევს ხელს, და არა ის, თუ როგორ შეიძლება წარმართო შეწუხებული ადამიანის გულისტკივილი ვიღაცის წინააღმდეგ, იმ მიზნით, რომ ვიღაცა დაამხო, გადააყენო და მისი ადგილი შენ დაიკავო.

— პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას აღნიშნეს, რომ საგანგებო წესების მეორე ეტაპი მოხმარდება მაფიოზური სინდიკატების განადგურებას. დაისჯება განურჩევლად ყველა დამნაშავე. ძალისმიერ სტრუქტურებს, დღევანდელი მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, რამდენად რეალურად შეუძლიათ ამ დაპირების შესრულება, არსებობს ამის გარანტიები?

— ძალისმიერი სტრუქტურები, რა თქმა უნდა, საკვანძო, უმთავრესი საკითხია. მათი ნორმალურად ფუნქციონირების გარეშე შეუძლებელია ვილაპარაკოთ მაფიოზური კლანების შევიწროვებასა და განადგურებაზე, წესრიგის დამყარებაზე. ამ სტრუქტურების დღევანდელი მდგომარეობა სრულ გარანტიას ვერ ქმნის, მაგრამ მათი გაძლიერების პროცესი ყოველდღიურად მიმდინარეობს, ისინი იწრთობიან ამ ბრძოლაში. პარლამენტის სხდომაზე მე უკვე ვთქვი მაგრამ პარლამენტმა სახვათაშორისოდ ჩათვალა, გვერდი აუარა საერთოდ დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. რომ არა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პროცესები, ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთა შემოსევა, ჩვენ სხვანაირი წესრიგი გვექნებოდა. ამან დიდი დრო, ენერგია და ძალა შეიწირა და, გარკვეული აზრით, ხელი შეუშალა ამ სტრუქტურების ფორმირებასაც. თუმცა, დასავლეთ საქართველოში თავდაცვის სამინისტროს მოქმედებიდან, მხედრიონზე მე უკვე ვილაპარაკე, პოლიციის, უშიშროების ორგანოების, პროკურატურის წარმომადგენელთა [illegible] — ნათლად გამოიკვეთა და ჩანს, რომ ამ სტრუქტურებს შეუძლიათ გადაწყვიტონ სერიოზული ამოცანები. ახლა იმ რაიონებში, სადაც პრეზიდენტყოფილის ძალები ლათარეშობდნენ, შედარებითი სიმშვიდეა, შედარებით ნორმალურად მიმდინარეობს იარაღის ჩაბარების, ხალხის გამოყვანის პროცესი და, ასე თუ ისე, წესრიგია დაცული, ცხოვრება თანდათანობით უბრუნდება ნორმალურ რიტმს. და ამას, ძირითადად ზემოთხსენებული სტრუქტურები აკეთებენ. დღეს მთელი საქართველოდან 4-5 ათასი პოლიციელია მობილიზებული დასავლეთში.

ბევრი რამ კეთდება უშიშროების სისტემის სრულყოფისთვის. ტალახის ბევრი გუნდა მესროლეს პირადად მე უშიშროების სამსახურის შექმნასთან დაკავშირებით. უფრო სწორად, მას სახელი შეეცვალა, მაგრამ მარტო სახელი კი არა, შინაარსიც უნდა შეიცვალოს. ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს ამ სამსახურის ფორმირება ისეთი სტანდარტების შესაბამისად, როგორიც არსებობს დემოკრატიულ ქვეყნებში. ვერავითარი დემოკრატია ვერ გაიმარჯვებს ვერც ერთ ქვეყანაში, თუ უშიშროების სამსახურს თავისი სტრუქტურები არა აქვს. და ეს ეხება პოლიციასაც, სხვა სამართალდამცავ ორგანოებსაც. ვინც ამასთან დაკავშირებით საკმაოდ დაუნდობლად მაკრიტიკებდა პარლამენტის სხდომაზე, იმათ თავიანთი პაწაწინა პარტიული და ეგოისტური ინტერესები ამოძრავებდათ. მე კი იმაზე, რაც ამ ბოლო დროს გაკეთდა პოლიციაში, უშიშროების სამსახურში, პროკურატურის ორგანოებში და სხვაგან, საკმაოდ დიდ იმედებს ვამყარებ. დღეს ყველაზე დიდი პრობლემაა შეიარაღებულ ფორმირებათა საკითხი. თუ კანონიერი შეიარაღებული რაზმები შევიყვანეთ ყაზარმებში, და ეს ყოველ მიზეზ გარეშე უნდა გააკეთოს თავდაცვის სამინისტრომ, მაშინ საკითხის ძალზე მნიშვნელოვანი მხარე იქნება გადაწყვეტილი. ხოლო თუ უკანონო ფორმირებები ავლაგმეთ, ეს უკვე წესრიგის სრული გარანტიაა. ამის შესაძლებლობა კი რეალურად არსებობს.

ვფიქრობ, ბევრის გაკეთება შეუძლიათ თავდაცვის სამინისტროს, უშიშროების სამსახურს, პოლიციას. დარწმუნებული ვარ, ეს ამოცანა გადაწყდება და უახლოეს დროში მოსახლეობამ შეღავათი უნდა იგრძნოს.

— ამას წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯაბა იოსელიანის მანქანა ააფეთქეს. ისეთი შეგრძნება დაგვეუფლა, თითქოს ყველაფერი თავიდან დაიწყო. უფრო ადრე იყო ბატონ გია ყარყარაშვილის მანქანის აფეთქების ცდა, მაგრამ, საბედნიეროდ, იგი ჩაიშალა. ეს ტერორისტული აქტები, ტერორიზმი პოლიტიკასა და ჩვენს ცხოვრებაში გრძელდება. პრესაში გამოჩნდა ინფორმაცია, რომ „ყვარლის ტყის" საქმე დასრულდა და ორი ფრაზით იყო ნათქვამი მისი შედეგების შესახებ. გამოძიება მიმდინარეობს და მოსახლეობას შედეგები არა აქვს. მას, ალბათ, ისეთი შეგრძნება უჩნდება, რომ არაფერი არ კეთდება რეალურად ამ მიმართულებით...

— ტერორიზმი ერთ-ერთი ყველაზე საშიში მოვლენაა საქართველოში. გარკვეული წინააღმდეგობის მქონე მსოფლიო ქვეყნებიც კი ერთიანდებიან ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ეს ცნობილი პრაქტიკაა. სამწუხაროდ, ჩვენთან, ისევე როგორც სხვა მიმართულებებით, ეს ბრძოლა საკმარისი სიმწვავით არ მიმდინარეობს. თუნდაც ეს, რაც ბატონ ჯაბას შემთხვა, ხომ წინასწარ მოფიქრებული, მომზადებული ტერორისტული აქტი იყო. ყველასგან, ვისაც ეს ეხება, მოვითხოვ, რომ დანაშაული ყოველ მიზეზს გარეშე გაიხსნას და დამნაშავე მოიძებნოს, ისევე როგორც უნდა მოიძებნოს დამნაშავე და გაიხსნას ის საქმე, რომელიც ეხება თავდაცვის მინისტრის მანქანის აფეთქების მცდელობას დასავლეთ საქართველოში. ვიცი, რომ გამოძიება მიმდინარეობს, ბატონმა გიორგაძემ და სხვებმა მომახსენეს, რომ აქვთ სერიოზული მონაცემები. თუმცა, მარტო ეს როდია. მაგალითად, მოკლეს ქალაქის პროკურორი და... ყველას დაავიწყდა, თითქოს არაფერი მომხდარა. დაავიწყდა პოლიციას, უშიშროების შესაბამის სამსახურებს, ქალაქსა და ხელისუფლებასაც. ამაზე საზიზღარი ტერორისტული აქტი კი მე არ ვიცი.

29 ნოემბრის რადიოინტერვიუ

ჩემს სერიოზულ აღშფოთებას იწვევს ის, რომ დასავლეთ საქართველოში მომხდარი ასეთი სერიოზული ამბავი, ისე როგორც ყვარლის საქმე, თითქოს შეუმჩნეველი დარჩათ ჩვენს პრესას, პოლიტიკურ პარტიებს. ყვარლის საქმის გახსნისა და დამნაშავეთა იზოლირების შედეგად ჩვენ დიდი უბედურება ავიცილეთ თავიდან, იქ ძალიან ცუდი საქმე მზადდებოდა, დაახლოებით იმ მასშტაბებისა, რაც დასავლეთ საქართველოში მოხდა. ასეთი რამ ავიცილეთ თავიდან და მართლაც, ყოველივე ეს ერთ პატარა საგაზეთო ცნობაში აისახა. დიდ პატივს ვცემ ჩვენს უზენაეს სასამართლოს, მის ხელმძღვანელს, ძალიან ერუდირებულ და ცნობილ პიროვნებას და მიმაჩნია, რომ მათ სერიოზულად, სოლიდურად მიჰყავთ ეს ძალზე მნიშვნელოვანი საქმე. მაგრამ მე ვერც უზენაეს სასამართლოს და ვერც იუსტიციის სამინისტროს ვერ დავეთანხმები ასეთ პრაქტიკაში. როცა სასამართლო პროცესი გაიმართა ქვეყანა უნდა შეზანზარებულიყო. მახსოვს, არც ისე დიდი ხნის წინათ, ზარებს რეკდნენ, ახლა კი გაიმართა სასამართლო, სასჯელის უმაღლესი ზომა არ მოქმედებს გაუგებარი მიზეზების გამო და არც გაზეთები, სამწუხაროდ, არც ტელევიზია და არც სხვა საშუალებები არ შეეცადნენ გამოეყენებინათ ყოველივე ეს, რათა ადამიანებს გაუჩნდეთ რწმენა, რომ დანაშაული დაუსჯელი არ დარჩება, ვინც უნდა იყოს, რა პიროვნებაც, დამნაშავე დაისჯება. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, მე უკვე მივეცი მითითება: უნდა შეიქმნას სპეციალური, მძლავრი ქვეგანაყოფები უშიშროების, პოლიციის სამსახურებში ცენტრშიც და ადგილებზეც. ტერორიზმს უნდა გამოვუცხადოთ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

სხვათა შორის, რამდენი მუქარა რჩება რეაგირების გარეშე! ამას წინათ პარლამენტში შედგა სერიოზული დებატები, შემდეგ შეიკრიბა უმრავლესობა. მე არ დავასახელებ ახლა გვარს, არ მჭირდება, თუმცა ალბათ, ესეც საინტერესოა, გამოდის ერთი ადამიანი, პარლამენტის შენობის წინ შეკრებილ მოქალაქეთა ჯგუფთან და აცხადებს ასეთ რამეს (ცოტა ქუჩური სიტყვაა): „რა გინდათ, რას მოსულხართ აქ. ხომ იცით, რომ ეს პიროვნება ერთ ათ დღეში დაიხრჩობა". მე მიმაჩნია, რომ ეს კაცი უნდა გამოიძახონ, დაკითხონ და თუ საჭიროა, პასუხისგებაშიც უნდა გადაეცენ. ჩემს აღშფოთებას იწვევს, როცა ვინმე ვინც უნდა იყოს იგი, პარლამენტში იარაღით შემოდის. ამას წინათ იყო შემთხვევა, როცა ერთ-ერთმა პიროვნებამ გააშიშვლა იარაღი. ესე იგი, ტერორიზმის ელემენტები თვით პარლამენტშიც არ არის აღმოფხვრილი. ვფიქრობ, ყოველივე ამას ბოლო უნდა მოეღოს. შემაშფოთებელია მუქარა ადამიანების მიმართ, მოქალაქეთა გატაცება — ესეც ტერორისტულ დანაშაულობათა სფეროს ეხება და ამასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარი ფაქტის გამოძიება, როგორც ვიცი, დამთავრდა, მაგრამ ეს პროცესი უნდა იყოს ტრანსლირებული მთელს საქართველოში. ეს ისეთი გაკვეთილი უნდა გახდეს, რომ ყველა ტერორისტს მადა დაუკარგოს.

ტერორიზმი არის სახელმწიფოს მიმართაც. მაგალითად, ენერგეტიკაში რომ ასეთი უბედურება გვჭირს, ამის ერთ-ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ ხაშურის რაიონში ხუთი მაღალი ძაბვის ანძა ააფეთქეს, რომელთა აღდგენასაც ერთი თვე გადაჰყვა მთელი სახელმწიფოს. არ მესმის, ისინი, ვინც ეს მოიმოქმედა, ტერორისტები არ არიან? ეს არის ტერორი მთელი სახელმწიფოს, ხალხის, საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

გუშინ უშიშროების მინისტრმა ბატონმა გიორგაძემ, მომახსენა, რომ ხაშურის საქმე ჯერ კიდევ გაუხსნელია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, კვალს მიაგნებენ. თბილისთან იყო შემთხვევა, ორი თუ სამი ანძა ააფეთქეს 6-7 თვის წინათ. უშიშროების სამსახურმა გახსნა საქმე, დამთავრდა გამოძიება. ახლა ვნახოთ, როგორ ჩატარდება ეს სასამართლო პროცესი, როგორ განაჩენს გამოიტანენ ჩვენი მოსამართლეები. მე არ მინდა წინასწარ ჩავერიო. ღმერთმა დამიფაროს იმ სურვილისაგან, რომ სასამართლოს რაღაც ვუკარნახო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროცესიც ისე უფერულად და უკვალოდ ჩაივლის, როგორც ჩაიარა ყვარლის საქმემ. როცა დანაშაული გაიხსნება, ყველამ უნდა გაიგოს, როგორი მზაცური და ბინძური დანაშაულია ჩადენილი. არ უნდა დარჩეს ეს რეაგირებისა და სათანადო ინფორმაციული უზრუნველყოფის გარეშე.

— პარლამენტის სხდომაზე თქვენ თქვით, რომ გამოძიებამ უნდა დაადგინოს, თუ რამ მიიყვანა რეანიმაციამდე ზვიადისტური მოძრაობა.

— როცა მის რეანიმაციაზე ვლაპარაკობდი, მხედველობაში მქონდა ის, რომ სერიოზულ, შეიარაღებულ ძალად გადაქცევამდე მან დღის წესრიგში რეალურად დააყენა არსებული ხელისუფლების დამხობა-გადატრიალება და შავი ძალის გაბატონება საქართველოში. ეს ხომ თავისთავად არ მომხდარა, გაჩნდა იარაღი, ფინანსები, დიდი რაოდენობით ტექნიკა, დოლარები, იდეოლოგები, პროპაგანდისტები, პროვოკაციული მიმართულების გაზეთები და პრაქტიკულად, პროვინციული ფაშიზმი. ე. ი. არა მარტო იდეოლოგია, არამედ პრაქტიკა და რეალური სამხედრო ძალა იმისა, რომ ეს პროვინციული ფაშიზმი მოსულიყო ხელისუფლებაში. ყველაფერი ეს მოითხოვს გამოძიებას, გამოკვლევას, დადგენა-დადასტურებას და შემდეგ გასამართლებას.

— ჩეჩნეთის პრეზიდენტმა დუდაევმა გააკეთა განცხადება, რომ დროა დაირაზმოს მუსლიმანური სამყარო ამერიკის, დასავლეთისა და რუსეთის წინააღმდეგ. თუ ასეთი რამ მოხდა, ამ შემთხვევაში, გარდა საერთო ინტერესებისა და ინტერესთა დაახლოებისა, მოსალოდნელია თუ არა რუსეთის გამოკვეთილი საგარეო კურსის ჩამოყალიბება საქართველოს მიმართ და იმავე დასავლეთის, ამერიკის რუსეთთან მიმართებაში?

— სიმართლე გითხრათ, გამაოცა ბატონ დუდაევის ამ განცხადებამ. არ ვიცი, შეიძლება ცოტა საინფორმაციო საშუალებებმაც გადააჭარბეს. ხდება ხოლმე ასე. მე ერთხელ მასთან მქონდა შეხვედრა ბაქოში, ეს ცნობილი ფაქტია. მაშინ იგი სხვაგვარად მსჯელობდა, სხვა კაცი იყო, სხვა საკითხებზე გვქონდა საკმაოდ საინტერესო საუბარი. თუ ისეა ნათქვამი, როგორც მე მომაწოდეს, ეს ყველასთვის სერიოზული დაფიქრების საგანი უნდა გახდეს, იმიტომ, რომ პოლიტიკური მოღვაწე შემთხვევით ასეთ ფრაზას ვერ ისვრის — რაღაც საფუძველი, გარანტიები არსებობს, რაღაც ძალები დგანან ამის უკან. მე ამაში ძალიან დიდ საშიშროებას ვხედავ, ვხედავ სამყაროს მუსლიმანურ თუ ქრისტიანულ სფეროებად გათიშვის საშინელ საფრთხეს. ეს იმდენად საშიში პოზიციაა, რომ მარტო სიტყვებიც რომ იყოს, ჩემი აზრით, ძალიან სერიოზულ ჩაფიქრებას მოითხოვს, პირველ ყოვლისა, თვით მსოფლიო გიგანტების მხრივ, მხედველობაში მაქვს ამერიკის შეერთებული შტატები, ევროპის უდიდესი ქვეყნები, მთელი დასავლეთი, რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს რუსეთი და მისი ხელისუფლება, ისევე როგორც ისლამური სახელმწიფოები.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მეზობელი თურქეთი ამის მსგავსს არაფერს არ გაიმეორებს, არ გაიზიარებს, პირიქით. ის სრულიად საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას. დარწმუნებული ვარ, სხვა ისლამური სახელმწიფოებიც ამისაგან ძალიან შორს დადგებიან. თუმცა, ვიმეორებ, ალბათ, ამ განცხადების უკან დგანან გარკვეული ძალები. სამწუხაროდ, ჩვენს სამყაროს, ჩვენს კაცობრიობას ისტორიული გაკვეთილებიდან ჯერ კიდევ ვერ გამოაქვს საჭირო დასკვნები. ცივი ომის დამთავრების შემდეგ ერთგვარმა გულარხეინობის განწყობილებებმა დაისადგურა. ეს დაუშვებელია და ეს ძალიან ძვირად დაუჯდება მსოფლიოს. მიმაჩნია, რომ ასეთ განცხადებებზე სათანადო რეაგირება საჭირო და არა იმდენად სიტყვებით, რამდენადაც — საქმით. ვიმეორებ, ამ განცხადებაში ვხედავ ახალი გათიშვის საშინელ საფრთხეს. ამიტომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რუსეთმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, უშიშროების საბჭომ, ევროთათბირმა იგი შეუმჩნეველი არ უნდა დატოვონ. დარწმუნებული ვარ, ეს ასეც მოხდება.

— ორ კვირაში რუსეთში არჩევნები გაიმართება. რას ელით ამ არჩევნებისაგან როგორც პოლიტიკოსი და როგორც სახელმწიფოს მეთაური?

— რა თქმა უნდა, მე არათუ ველი, არამედ ძალიან ბევრს ვფიქრობ და მინდა მჯეროდეს, რომ გაიმარჯვებენ დემოკრატიული ძალები. წინასაარჩევნო კამპანიის შთაბეჭდილება მთლად აღმაფრთოვანებელი ვერ არის და ეს სერიოზულად მაფიქრებს. ახლა ხომ მაინც ხედავენ ჩემი ოპონენტები, რომ რეალურად არსებობს ორი რუსეთი — დემოკრატიული და რეაქციული. ნუღარ იქნებიან ისინი გულუბრყვილონი და ნუ დადგებიან იმ დემაგოგიურ პოზიციაზე, რომ სულ ერთია რუსეთი დემოკრატიული იქნება თუ რეაქციული. არ არის სულერთი! რეაქციული რუსეთი საქართველოს დასამარებას ნიშნავს. ამიტომ, ამ არჩევნებს, რა თქმა უნდა, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ და ვფიქრობ, რომ შედეგები დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ გამოიყენებენ დარჩენილ დროს პოლიტიკური ძალები, ჯერჯერობით, ჩემი აზრით, დემოკრატიულ ძალებს აკლიათ მიზანსწრაფულობა, ერთიანობის აუცილებლობის შეცნობა. დარჩენილ დროში შეიძლება ბევრი რამ გაირკვეს და შეიძლება გამოვთქვათ რწმენა, რომ რუსეთში დემოკრატია გაიმარჯვებს.

— 25 ნოემბერს აფხაზეთში შემორჩენილ ქართველებსაც ცეცხლი გაუხსნეს აფხაზებმა. 30 ნოემბერს ჟენევაში აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით მოლაპარაკება იმართება, რომელშიც ქართული მხარეც იღებს მონაწილეობას. ამდენი იმედგაცრუების შემდეგ რა მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის ჟენევის მოლაპარაკების შედეგებს?

— ეს შეხვედრა ყველა შემთხვევაში სასარგებლოა. თუ მშვიდობიანი გადაწყვეტა შედგება, ჩვენი მიზანიც ეს არის, ამისკენ ვისწრაფოდით ყოველთვის და ვისწრაფვით ახლაც. თუ არა და მსოფლიო ერთხელ კიდევ დაინახავს ექსტრემისტ-სეპარატისტთა ნამდვილ სახეს და ესეც გაგვიადვილებს, საბოლოო ანგარიშით, აფხაზეთის პრობლემის გადაჭრას.

რაც შეეხება ამ ახალ ავანტიურას, რომლის შესახებაც უკვე გაკეთდა განცხადებები და რომელთაც მეც ვუერთდები, მინდა ძალიან დიდი იმედი გამოვთქვა, რომ რუსეთის ხელისუფლება, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, უშიშროების საბჭო დაუყოვნებლივ ჩაერევიან ამ საქმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვით ჟენევის მოლაპარაკებას ემუქრება საფრთხე. ეს სეპარატისტთა ნაცადი მეთოდია — სწორედ დიდმნიშვნელოვანი შეხვედრების წინ, ან შეთანხმებათა შემდეგ, რაღაც პროვოკაციული ნაბიჯი გადადგან. ამ ავანტიურის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ამ შეხვედრის ჩაშლაა და მგონია, რომ რუსეთმა ეს არ უნდა დაუშვას. რუსეთს შეუძლია გავლენა მოახდინოს აფხაზ სეპარატისტთა ასეთ საქმიანობაზე. ვფიქრობ, რომ ყველაფერი გაკეთდება, რათა ეს ავანტიურა აღიკვეთოს.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის გამგეობის სხდომა

27 ნოემბერს შედგა მოქალაქეთა კავშირის გამგეობის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა კავშირის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე.

პირველივე საკითხად განხილულ იქნა ინფორმაცია მოსახლეობის პურით მომარაგებაში არსებული სერიოზული პრობლემების შესახებ. გამგეობისა და სათათბიროს წევრებმა მოიარეს ქალაქის პურის საცხობი ობიექტები, რიგები და შეისწავლეს რეალურად არსებული ვითარება. გამოითქვა სერიოზული შეშფოთება არსებული მდგომარეობის გამო. გამგეობის წევრებმა წამოაყენეს კონკრეტული წინადადებები ვითარების სასწრაფოდ გამოსწორების მიზნით. სახელმწიფოს მეთაურმა აცნობა მოქალაქეთა კავშირის წევრებს, რომ უკვე რამდენიმე დღეა ხორციელდება სერიოზული ღონისძიებები წესრიგის აღსადგენად, დამატებითი თავდასხმების აღსაკვეთად, პურის საცხობებისა და სავაჭრო ობიექტების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. აღნიშნულ საკითხზე ორ დღეში მომზადდება სახელმწიფო მეთაურის სპეციალური ბრძანებულება.

გამგეობის სხდომაზე იმსჯელეს მოქალაქეთა კავშირის შექმნის ორგანიზაციულ საკითხებზე. დამფუძნებელ კრებაზე მიღებული სტრუქტურის შესაბამისად დამტკიცდნენ კავშირის მდივნები: საორგანიზაციო მდივნად ვლადიმერ ქარსელაძე, პოლიტიკურ მდივნად — კონსტანტინე ზაზუნაშვილი, მდივნად საერთაშორისო ურთიერთობათა დარგში — კახა ჩიტაია, რეფერენტების ხელმძღვანელად — მარინა მუსხელიშვილი. სხდომაზე აგრეთვე იმსჯელეს ქვეყნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი მწვავე საკითხის შესახებ.

საქართველოს დემოკრატიის მხარდამჭერი კომიტეტი მუშაობას შეუდგა

როგორც ვიუწყებოდით, შეიქმნა საქართველოს დემოკრატიის მხარდამჭერი ამერიკის შეერთებული შტატების კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარეები არიან **ჯორჯ შულცი** და **ჯეიმს ბეიკერი.**

დუეინ ანდრიას — კომიტეტის თავმჯდომარე და მთავარი აღმასრულებელი პირი — არჩერს დენიელს მიდლენდი (კომპანია);

ზბიგნევ ბჟეზინსკი — ყოფილი მრჩეველი სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებში;

ბრენ ბრეიბი — უილიამს და კონოლი;

ალან კრისტონი — აშშ-ს ყოფილი სენატორი;

პოლ დიტრიხი — ხანდერს და დეპსი;

სიუზან ეიზენჰაუერი — თავმჯდომარე, პოსტ-საბჭოეთის შესწავლის ცენტრი;

მურეი ფესბახი — მოსახლეობის ზრდის შესწავლის პროფესორი ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი;

ჯეიმს გარისონი — საერთაშორისო საგარეო პოლიტიკის ასოციაციის პრეზიდენტი;

უილიამ ჰადადი — გენერალური ფარმაცევტული მრეწველობის ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი;

მერლი მაკკეინი — თანადირექტორი, ჯორჯის ფონდი;

დონალდ მედეარისი დოქტორი — ჰარვარდის სამედიცინო სკოლა, პედიატრიის პროფესორი;

რობერტ მედეარისი — სამოქალაქო ინჟინერიის პროფესორი. სტენფორდის უნივერსიტეტი;

დევიდ ნეგლი რესპუბლიკელი — აშშ-ის ყოფილი კონგრესმენი;

რობერტ სტრაუსი — აშშ-ის ყოფილი ელჩი რუსეთში;

ჯიმ უესტი — დირექტორი, ინტერსპექტ კორპორაცია.

საქართველოს დემოკრატიის მხარდამჭერი ამერიკის შეერთებული შტატების კომიტეტი მუშაობას შეუდგა. საქართველოს მხარდასაჭერად წამოწყებულ პირველ უმნიშვნელოვანეს საქმეს, რაც ამ კომიტეტის შექმნით გამოიხატა, მოჰყვა მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი აქცია — 9-10 დეკემბერს თბილისში ჩამოვა 80 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი — მედიკამენტები, სამედიცინო ხელსაწყოები, საბნები და სხვა. ამ ჰუმანიტარული ტვირთის ნაწილი თავად კომიტეტმა შეიძინა, ნაწილი კომიტეტს გადასცეს ამერიკის შეერთებული შტატების საავადმყოფოებმა, საზოგადოებრივმა და კერძო ორგანიზაციებმა.

ამასთან, საქართველოს დემოკრატიის მხარდამჭერი ამერიკის შეერთებული შტატების კომიტეტი მუშაობს ეკონომიკური საბჭოს შექმნის პროექტზე. ამ საბჭოში გაერთიანებული იქნება სტენფორდის უნივერსიტეტის ჰუვერის ინსტიტუტის საუკეთესო ძალები, რომლებიც დაეხმარებიან საქართველოს მიკროეკონომიკური კონცეფციის შემუშავებაში, შექმნასა და განხორციელებაში.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

პოლკოვნიკ ი. გიორგაძისათვის გენერალ-მაიორის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრს პოლკოვნიკ იგორ გიორგაძეს გენერალ-მაიორის სახედრო წოდება.

ე. შევარდნაძე.

დანიშვნა

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით, გია ციხისთავი დაინიშნა კასპის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ, ოთარ ასლანიშვილი კი — დმანისის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ყურადღება!

მიმდინარე წლის 1 დეკემბერს 10 საათზე გაიმართება რესპუბლიკის პარლამენტის იურიდიული კომისიის სხდომა. განიხილავენ პარლამენტის მუდმივი რეგლამენტის პროექტს, მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონში ცვლილებებისა და საერთაშორისო კონვენციებთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების საკითხებს.

კომისიის წევრთა გამოცხადება სავალდებულოა.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის პრესცენტრი.

ჟენევის მოლაპარაკების ჩაშლისათვის პასუხისმგებლობა აფხაზთა მხარეს დაეკისრება

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ამა წლის 25 ნოემბერს აფხაზ ექსტრემისტთა შეიარაღებულმა ძალებმა წამოიწყეს დიდმასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია გულრიფშის რაიონის ქართველებით დასახლებულ მთის სოფლებში. ამის შედეგად დახოცილი და დაჭრილია მშვიდობიანი მოსახლეობა, მათ შორის ლტოლვილები.

რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა, აფხაზეთის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობაზე დაყრდნობით, გაავრცელეს განცხადება იმის შესახებ, რომ აფხაზეთის შეიარაღებული ძალები ახორციელებენ დიდმასშტაბიან ოპერაციას „რაიონის წმენდისთვის". ამ განცხადების თანახმად, აფხაზი სეპარატისტები პრაქტიკულად ერთხელ კიდევ ადასტურებენ, რომ მათ წამოიწყეს მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურების ახალი მცდელობა.

ამ მორიგ ვანდალურ აქციას აფხაზთა მხარე ამართლებს გულრიფშის რაიონის მთის სოფლებში „ქართული არმიის ბანდიტური ფორმირებების" არსებობით, რაც სხვა არა არის რა, თუ არა საკუთარი დანაშაულებრივი ქმედების გამართლების უსუსური მცდელობა.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეს ფაქტი მიაჩნია აფხაზეთში მცხოვრები ქართველი ეროვნების მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართულ გენოციდად და ეთნიკური წმენდის უკვე დამკვიდრებული პრაქტიკის ახალ ტალღად.

განსაკუთრებულ შეშფოთებას ის იწვევს, რომ მსგავს ქმედებებს აფხაზთა მხარე, როგორც წესი, იწყებს მაშინ, როცა აქტიურდება ქართველთა მხარის მოქმედება აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. ეჭვგარეშეა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც აფხაზთა მხარის ქმედებანი მიზნად ისახავს ჟენევის შეხვედრის ჩაშლას. დღეს აგრესია ხორციელდება რაიონებში, რომლებიც ბუნებრივი პირობების გამო მთლიანად მოწყვეტილია გარე სამყაროს, საარსებო მნიშვნელობის ობიექტები იქ ფაქტობრივად არ არსებობს.

დღეს ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიაში გადამწყვეტი მომენტი დადგა. არის შანსი, რომ ერთხელ და სამუდამოდ უარი ეთქვას ომს, ნგრევას, იარაღის ენაზე ურთიერთობების გარკვევას, რამაც ათასობით ადამიანის სიკვდილი და გაუბედურება გამოიწვია.

საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის უჭერდა მხარს აფხაზეთის სახელმწიფოებრივ ავტონომიას საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში ამ საკითხის ეჭვქვეშ დაყენება და ხელოვნური გაღვივება აფხაზ ექსტრემისტებს იმისათვის სჭირდებათ, რომ საკუთარი ამბიციური მიზნებიდან გამომდინარე ერთხელ კიდევ მოახდინონ კონფლიქტის ესკალაცია. ასეთი უპასუხისმგებლო და პროვოკაციული ქმედებებით ისინი ჩრდილს აყენებენ არა მარტო გაეროს სამშვიდობო ფუნქციას, არამედ რუსეთის, როგორც აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მთავარი გარანტისა და შუამავლის კონსტრუქციულ როლსაც.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოთქვამს იმედს, რომ რუსეთის მთავრობა, რომელმაც კონფლიქტის მოწესრიგების საშუამავლო მისია იკისრა, მიმართავს გადამჭრელ ღონისძიებებს ახალი სისხლისღვრის შესაჩერებლად.

საქართველოს მხარის აზრით საჭიროა უმოკლეს ვადაში გადაწყდეს კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგებისა და მისი განხორციელების მექანიზმის საკითხი. ჟენევის მოლაპარაკების წარუმატებლობის შემთხვევაში დაიკარგება აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის უკანასკნელი შესაძლებლობა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოთქვამს მტკიცე პროტესტს აფხაზი ექსტრემისტების პროვოკაციული ქმედებების გამო და ერთხელ კიდევ აცხადებს, რომ, თუ ისინი გაგრძელდა, მთელი პასუხისმგებლობა ჟენევის მოლაპარაკების ჩაშლისათვის, აქედან გამომდინარე შედეგებითურთ, დაეკისრება აფხაზთა მხარეს.

საქართველოს ელჩი ჟენევის მოლაპარაკების შესახებ

ამ დღეებში საქართველოს ტელევიზიის დილის პროგრამა „ალიონმა" გადმოსცა პირდაპირი ინტერვიუ საქართველოს ელჩთან ამერიკის შეერთებულ შტატებში პ. ჩხეიძესთან. ინტერვიუში დიდი ყურადღება ეთმობოდა ჟენევაში ქართულ-აფხაზური მომავალი მოლაპარაკების საკითხებს. როგორც ელჩმა განაცხადა, პრაქტიკულად გადაწყვეტილია მოლაპარაკებაში ამერიკელ სპეციალისტთა მონაწილეობის საკითხი. ოფიციალურად, ჯერჯერობით, არაფერს არ იტყობინებიან მათი სტატუსის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, როგორც ელჩს მიაჩნია, ეს შეიძლება შევაფასოთ როგორც „დიდი წინგადადგმული ნაბიჯი" აფხაზეთის კონფლიქტის საქართველოს სასარგებლოდ მოწესრიგების გზაზე. პ. ჩხეიძის გამონათქვამის მიხედვით, მას აქვს გარკვეული ინფორმაცია ამერიკელ ექსპერტთა შესაძლო სტატუსის თაობაზე.

შემდეგ მან განაცხადა, რომ მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია და, უწინარეს ყოვლისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ადგას ობიექტურ პოზიციას აფხაზეთის კონფლიქტში საქართველოს მიმართ, ანუ, მათ აქვთ საჭირო ინფორმაცია და კარგად იციან ქვეყნის ამ რეგიონში მომხდარი ამბები. როგორც წესი, ქართველი პოლიტიკური მიმომხილველები უჩივიან იმას, რომ დასავლეთის საზოგადოებრიობა დეზინფორმირებული თუ არა, ყოველ შემთხვევაში, სუსტად არის ინფორმირებული საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. პ. ჩხეიძემ კატეგორიულად უარყო ასეთი თვალსაზრისი.

ნაყოფიერი შეხვედრები

11-12 ნოემბერს თურქეთის დედაქალაქ ანკარაში შედგა თურქეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს კავშირგაბმულობის სისტემის ხელმძღვანელთა შეხვედრა, რომელიც აღმოსავლეთ შავი ზღვის რადიო-სარელეო ხაზის პროექტის რეალიზაციასთან იყო დაკავშირებული.

სამივე ქვეყნის კავშირგაბმულობის ხელმძღვანელებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს პროექტის დიდი აქტუალობა სამივე ქვეყნისთვის. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პროექტის განხორციელებას საქართველოსათვის; ძირითადად ორი მიზეზის გამო: ერთი, რომ გასასვლელი გვექნება ანკარის საერთაშორისო სადგურში და მეორე, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ტრანზიტული სატელეფონო, ფაქსიმილური კავშირებისთვის ტრანზიტის შემოსავალი ვალუტით იქნება გადახდილი, როგორც თურქეთისა და აზერბაიჯანის, ასევე ირანისა და შუა აზიის ქვეყნებიდან, რომლებიც, პროექტის განხორციელების შემთხვევაში მზად არიან ამ რადიოსარელეო ხაზში მისაერთებლად. შეხვედრის შედეგად შედგა შესაბამისი დოკუმენტი.

საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრი ფრიდონ ინჯია ქ. სტამბულში ეწვია თურქეთის საკაბელო წარმოების ერთ-ერთ უდიდეს კომპანია „ჰონტელ-კაბლოს", მისი გამგეობის თავმჯდომარის ბატონ პარუნ სორკუნის მიწვევით. განიხილეს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ერთობლივი წარმოების საკითხები. შეხვედრები გაიმართა აგრეთვე თურქეთის საქმიანი წრეების სხვა წარმომადგენლებთან.

ვიმედოვნებთ, რომ ასეთი რანგის შეხვედრები საწინდარი იქნება მეზობელი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის გაღრმავების და დარგის მუშაკთა შორის ახალი კონტაქტების დამყარებისა.

მზია ნარმანია,
კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი.

საქართველოს რესპუბლიკის ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის

განცხადება

იმასთან დაკავშირებით, რომ შეიქმნა საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, რომლის დეკლარაცია, ქართველი ხალხის კეთილდღეობის, მშვიდობის, ძმობის, ერთიანობის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სულისკვეთებით განპირობებული მისი მიზნები და ამოცანები სრულიად მისაღებია საქართველოს რესპუბლიკის ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოება „ცოდნის" თანამშრომლებისათვის, საქართველოს რესპუბლიკის ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის კოლექტივმა გადაწყვიტა, შევიდეს საქართველოს მოქალაქეთა კავშირის შემადგენლობაში, და მთელი მონდომებით შეუწყოს ხელი ამ უაღრესად მნიშვნელოვანი კავშირის მაღალი იდეების პროპაგანდასა და ცხოვრებაში გატარებას.

ნუგზარ წერეთელი,
საქართველოს რესპუბლიკის ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო საზოგადოების „ცოდნის" თანამშრომლების სახელით, საზოგადოების თავმჯდომარე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი.

საქართველოს ქალთა საბჭოს წერილი

საქართველოს ქალთა საბჭო გულითადად მიესალმა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის შექმნას.

საქართველოს ქალთა საბჭო რწმენას გამოთქვამს, რომ ამ ორგანიზაციის წევრთა შორის ბევრი იქნება სამშობლოსათვის თავდადებული სწავლული, სიბრძნით აღჭურვილი მანდილოსნები, საქართველოს მთლიანობისათვის თავგანწირული ქალები, უსახლკაროდ დარჩენილი დედები, რომლებმაც არძინბას ხროვის და სხვა დაქირავებული მკვლელების წინააღმდეგ ბრძოლაში დაკარგეს შვილები, მეუღლეები, ახლობლები.

„გვინდა გჯეროდეთ, — ნათქვამია წერილში, — რომ ამ კავშირის დეკლარაციით აღიარებულ ყველა პრობლემის განხორციელების საქმეში აქტიურად ითანამშრომლებენ რეგიონული თუ რესპუბლიკური ქალთა ორგანიზაციები, ყოველმხრივ თანაგრძნობას გაგიწევენ ერის გამთლიანების, სოციალური და, პირველყოვლისა, ლტოლვილთა საკითხების გადაწყვეტაში, დამოუკიდებელი დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობაში", — ნათქვამია წერილში, რომელიც ქალთა საბჭოს პრეზიდიუმმა გაუგზავნა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

ორი ქვეყნის მთავრობათა პოზიცია აბსოლუტურად იდენტურია

როგორც ცნობილია, ამ რამდენიმე დღის წინათ იტარ-ტასსმა გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს გაეკეთებინოს ოფიციალური განცხადება საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების თაობაზე.

იმავე დღეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მთავარმა სახელმწიფო მრჩეველმა, საერთაშორისო განყოფილების გამგემ გელა ჩარკვიანმა ამ ფაქტთან დაკავშირებით საქინფორმისათვის მიცემულ განმარტებაში აღნიშნა, რომ, როგორც მას აცნობეს ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურმა წარმომადგენლებმა, სახელმწიფო დეპარტამენტს მსგავსი განცხადება არ გაუკეთებია. იტარ-ტასსი დაეყრდნო ყოველდღიურ ბრიფინგზე ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვაზე დეპარტამენტის ერთ-ერთი წარმომადგენლის წერილობით პასუხს. გთავაზობთ ბატონ გელა ჩარკვიანის მიერ მოწოდებული ამ კითხვა-პასუხის სრულ ტექსტს, რომელიც ადასტურებს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს არავითარი ოფიციალური განცხადება ამ საკითხზე საქართველოს მიმართ არ გაუკეთებია:

კითხვა: რა შეიძლება გვითხრათ დაპატიმრებების შესახებ, რომლებიც განახორციელა საქართველოს მთავრობამ იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებიც თავმჯდომარე შევარდნაძის მიმართ ოპოზიციურ მოქმედებებში იყვნენ ებმოტანილი?

პასუხი: საბჭოთა კავშირის დაშლიდან და დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, უკვე ორი წელია, რაც საქართველო ცდილობს მძაფრი პოლიტიკური დესტაბილიზაციიდან, შინაური შეიარაღებული კონფლიქტებიდან, ეკონომიკური ნგრევიდან და მუდმივი კრიმინოგენური სიტუაციიდან თავის დაღწევას. ყველა ეს პრობლემა ხელს უშლის საქართველოს წინსვლას უფრო მეტად სრულყოფილი დემოკრატიული სისტემის შექმნისაკენ.

15 სექტემბერს პარლამენტმა მხარი დაუჭირა მისი თავმჯდომარის — შევარდნაძის განცხადებას საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების თაობაზე. თავმჯდომარის თხოვნით პარლამენტმა 60 დღით შეწყვიტა პლენარული სხდომები. შევარდნაძემ მოითხოვა საგანგებო მდგომარეობის გაგრძელება კიდევ 60 დღით. პარლამენტი, ალბათ 25 ნოემბერს შეიკრიბება ამ საკითხის გადასაწყვეტად.

ოქტომბრის დასაწყისში შემოღებული იქნა კომენდანტის საათი თბილისსა და საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქ ქუთაისში. ამ ნაბიჯს თან მოჰყვა პოლიტიკური თვითგამოხატვის ერთგვარი ცენზურა და კონტროლი. დასავლეთ საქართველოში გამსახურდიასა და მისი მომხრეების მიერ განახლებულ შეიარაღებულ გამოსვლებს თან მოჰყვა ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერთა დაკავება თბილისში. ერთ-ერთი მათგანი ახლახან იქნა განთავისუფლებული ერთ თვეზე მეტი ხნის დაკავების შემდეგ.

კითხვა: როგორია ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?

პასუხი: ყველა ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოსთან, მათ შორის საქართველოსთანაც, ჩვენი ურთიერთობების განვითარების ქვაკუთხედია ის, თუ რამდენად არის დაცული ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა ამ ქვეყნებში. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ადამიანის უფლებებს და როლს, რომელსაც ასრულებს ადამიანის უფლებათა პატივისცემა ამერიკის შეერთებულ შტატებთან კარგი ურთიერთობის განვითარების საქმეში. ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალ-ყურს მოვლენებს.

27 ნოემბერს, ტექსტის გადმოცემისას, საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში მთავარმა სახელმწიფო მრჩეველმა კომენტარის სახით დასძინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და საქართველოს ხელმძღვანელობის პოზიცია ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთან დაკავშირებით აბსოლუტურად იდენტურია. საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს სახელმწიფოს მეთაურის მიერ დავალებული აქვს, მკაცრი ზომები მიიღოს რესპუბლიკაში ადამიანის, მათ შორის, გამოძიებაში მყოფ პირთა უფლებების განუხრელი დაცვისათვის.

გვეხმაურებიან

კმარა ლანძღვა და ცილისწამება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკამ" ამა წლის 18 ნოემბერს გამოაქვეყნა ბატონ არმაზ სანებლიძის წერილის — „შემობრუნება", მეორე ნაწილი, სადაც ავტორი მიმოიხილავს ლოთი ქობალიას ფორმირებების მიერ ფოთის აღების პერიპეტიებს. ა. სანებლიძე ადგილობრივ მოწმეებზე დაყრდნობით, ფოთის დაკარგვაში მთლიან ბრალს სდებს თავდაცვის სამინისტროს საჯარისო ნაწილებს და კონკრეტულად მე-11 ბრიგადას, რომელსაც არც მეტი არც ნაკლები, სამშობლოს ღალატში ადანაშაულებს.

ავტორს უნდა მოვახსენოთ, რომ მე-11 ბრიგადა ლოთი ქობალიას ფორმირებების მიერ ფოთის აღების დროს იქ არ იმყოფებოდა. ქალაქში იდგა ამ ბრიგადის მხოლოდ ერთი, შავნაბადას ბატალიონი პოლკოვნიკ კობა კობალაძის მეთაურობით, რომელსაც ავტორი ასევე ადანაშაულებს. მისი სიტყვებით, ქალაქის დაცემის დროს სამხედრო მეთაური ქალაქში არ იმყოფებოდა, იმ დროს, როდესაც „თბილისში იარაღის საშოვნელად" წასულმა ქალაქის მერმა მოასწრო უკან დაბრუნება.

წერილის ლოგიკა, რომ ფოთის სამოქალაქო ხელისუფალი თბილისში დადის იარაღის საშოვნელად, გასაკვირია. ავტორი რომ დაინტერესებულიყო, თუ „ვინ შოულობს იარაღს", რატომ იყო სამხედრო მეთაური თბილისში და რატომ ვერ ჩავიდა იმ დღეს ფოთში, ვინ ცვლიდა მას ადგილზე, როგორ მოხდა ფოთში ნაბადას რაიონის მხრიდან ზვიადისტების შემოსვლა და ვინ შეუწყო ხელი მათ ამის განხორციელებაში, როგორ აღმოჩნდნენ ფოთის შესასვლელებთან პოზიციებზე განლაგებული შავნაბადას ბატალიონის მებრძოლები მოულოდნელად ორმხრივი დარტყმის ქვეშ, რამდენ საათს იბრძოდა საკუთარ ბაზაზე ალყაშემორტყმული ბატალიონის ერთი ნაწილი, რამდენი მათგანი დაიღუპა ან რამდენი ჩავარდა ტყვედ ტყვია-წამლის გათავების შემდეგ, როგორ იყენებდნენ ზვიადისტები შემდგომში ამ ტყვეებს „შავნაბადას ბატალიონზე და მის მეთაურზე ზემოქმედების მოსახდენად, რათა მათ არ მიეღოთ შემდგომ ბრძოლებში მონაწილეობა, რამდენი შავნაბადელი ტყვე დახვრიტეს და როგორ მოხდა შემდგომ ცოცხლად დარჩენილების განთავისუფლება, — იგი ამ კითხვებზე ამომწურავ პასუხს მიიღებდა და არ დაადანაშაულებდა ვინმეს ღალატში.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ავტორის დამოკიდებულება თავდაცვის სამინისტროს მე-11 ბრიგადის მიმართ, მისი სიტყვებით: „ყველაზე მოულოდნელი და გაუგებარი ამ გადასვლა-მიმხრობაში თბილისიდან ჩამოსული მე-11 ბრიგადის ღალატი იყო". ეს სიტყვები შეეხება ბრიგადას, რომელიც ვახტანგ გორგასალის I ხარისხის ორდენის კავალერის, პოლკოვნიკ დავით თევზაძის მეთაურობით გმირულად იბრძოდა აფხაზეთში და სასახელო ფურცლები ჩაწერა ანუარხის, ტამიშის, შრომის, ლაბრას, სოხუმის თუ სხვა ბრძოლებში, რომლის ნაწილებმაც თავდაცვის მინისტრის მეთაურობით გადალახეს მდინარე კოდორი და ერთადერთნი დაეხმარნენ ალყაშემორტყმულ სოხუმს, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა დასავლეთ საქართველოს ზვიადისტური ბანდებისაგან განთავისუფლების საქმეში, აიღო მარტვილი, ორჯერ სენაკი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, მუხური, ლებარდე, ჯვარი და ზვიადისტების სხვა დასაყრდენი პუნქტები. თავის მხედრულ გზაზე მე-11 ბრიგადა მხოლოდ სახელს და თანამებრძოლთა სიცოცხლის ტოვებდა.

თავდაცვის სამინისტროს საჯარისო ნაწილების შეურაცხყოფა ბატონ არმაზ სანებლიძის მხრიდან, მხოლოდ ღალატში ბრალდებით არ შემოიფარგლება, იგი წერს, რომ ფოთის განთავისუფლების შემდეგ არც ჩვენმა „ბატალიონებმა" დააკლეს (ქალაქს) ხელი, სამი დღე მარბიელობდნენ, ბოლოს და ბოლოს „მხედრიონის" ნაწილმა, როგორც ჩამოვიდა, დაამყარა წესრიგი, ყაჩაღების რამდენიმე ჯგუფი აიყვანეს, გაანადგურეს, დააწყნარეს ქალაქი.

არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებთ, მაგრამ ამ სიტყვების წამკითხველ, საქმეში ჩახედულ ადამიანს, სხვა შემთხვევაში, ალბათ, მხოლოდ გაეცინებოდა. მაგრამ, რადგან სასაცილოდ საქმე სულაც არა გვაქვს, ამიტომ, მოვითხოვთ, ბატონ არმაზ სანებლიძისაგან წარმოგვიდგინოს დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტები, თუ ფოთში შესული ბატალიონებიდან რომელი ყაჩაღთა ჯგუფები დააკავა და გაანადგურა „მხედრიონმა". დაკავებულთა და განადგურებულთა ვინაობა, ალბათ, საიდუმლოება არ იქნება. ამ ფაქტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, უფლებას ვიტოვებთ, ცილისწამებისათვის მივმართოთ კანონით გათვალისწინებულ ზომებს.

სანამ ავტორი ამ ფაქტებს წარმოგვიდგენდეს, მკითხველს მოვახსენებთ, საქმის რეალურ ვითარებას. ფოთი ზვიადისტთა ბანდებისაგან გაანთავისუფლა თავდაცვის სამინისტროს მობილურმა დაჯგუფებამ პოლკოვნიკ რ. გახოკიძის მეთაურობით. ქალაქის განთავისუფლებისთანავე მებრძოლთა დიდი ნაწილი განლაგდა ფოთის შემოსასვლელთან მეშვიდე კილომეტრზე, სადაც ორი დღის განმავლობაში ინტენსიური ბრძოლები მიმდინარეობდა, მცირე ნაწილი კი ფოთის პორტსა და წისქვილკომბინატს იცავდა. მესამე დღეს, როდესაც ფოთში ჩამოვიდნენ სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლები, და კერძოდ, ბატონი რომან მელია, მობილურმა დაჯგუფებამ დასტოვა ქალაქი და განაგრძო წინსვლა ხობის მიმართულებით. რაც შეეხება ძარცვა-ყაჩაღობის ფაქტებს, რასაკვირველია, ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში, მას ფოთშიც ჰქონდა ადგილი, მაგრამ არა მხოლოდ სამი დღის განმავლობაში, იგი შემდგომაც, რუსეთის სამხედრო ნაწილების შემოსვლამდეც ხდებოდა, ამ დროისათვის, კი ფოთში თავდაცვის სამინისტროს საჯარისო ნაწილების არც ერთი წარმომადგენელი აღარ იმყოფებოდა.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური კატეგორიულად მოითხოვს ბატონ არმაზ სანებლიძისაგან, რომ მან საჯაროდ მოუხადოს ბოდიში შავნაბადას ბატალიონს, მე-11 ბრიგადას, მობილურ დაჯგუფებას, თავდაცვის სამინისტროს და ყველა იმ ქართველ სამხედროს, რომელთა უპირველესი მიზანიც, სამშობლოს სამსახური და მისთვის თავის გაწირვაა.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური.

26. 11.93.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრის წერილში აღნიშნული ფაქტი, რომლის შესახებაც ქ. ფოთში მომიყვნენ, მხოლოდ ერთი ეპიზოდია 18 ნოემბერს გამოქვეყნებული ჩემი რეპორტაჟისა „შემობრუნება", რომლის მიზანი სრულიადაც არ იყო ქალაქის დაცემისა და გათავისუფლების პერიპეტიების მეტ-ნაკლებად სრულად გადმოცემა, მით უფრო მოულოდნელი და გამაოგნებელი იყო ჩემთვის როგორც ჟურნალისტისთვის, რომ ჩემი ნაწერი შეურაცხმყოფელი გამოდგა (რაც აზრადაც არ მქონია) და ასე ატკინა გული იმ ადამიანებს — მეომრებსა და მათ მეთაურებს, რომელთა მიმართ პატივისცემა, მათი მამულიშვილური საქმეებიდან გამომდინარე, არაერთხელ გამოგვიხატავს „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე მეც და ჩემს კოლეგებსაც.

მაგრამ, როგორც იტყვიან, — ფაქტი სახეზეა და ელემენტარული ეთიკა მოითხოვს, რომ ბოდიში მოვიხადო, რასაც ვაკეთებ კიდეც.

არმაზ სანებლიძე.

აქტუალური ინტერვიუ

ანათემა თანადგომისათვის?!

ანუ პრინციპული დიალოგი აჭარის დღევანდელობაზე, თანადგომაზე, აგრეთვე „ორმაგ თამაშზე", „იზოლაციონიზმზე", „ავის მომასწავებელ სიჩუმესა" და იმაზეც, მომავალში თუ ვის რა სახელს დაარქმევს საზოგადოებრიობა

რედაქციისაგან: ბათუმში მუშაობას შეუდგა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" აჭარის საკორესპონდენტო ბიურო, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩვენი გაზეთის პოლიტიკური რედაქტორი გია ჭელიძე.
გთავაზობთ მის პირველ პუბლიკაციას.

ეტყობა, რაღაც გამოცდა მოგვიწყო მამაზეციერმა, თორემ ეს პატარა ერი როგორ გავუძლებდით ამდენს — 9 აპრილს, თბილისის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ტრაგედიებს და ბოლოს, იმ სამარცხვინო ძმათამკვლელ ომს, ახლახან რომ გადავიტანეთ.

ასეთ დროს, როგორც ჩვენში ამბობენ, სული უნდა ვუბეროთ ყოველ ნაღვერდალს, მთელ საქართველოში მშვიდობისა და თანადგომის დიდი კოცონის დასანთებად რომ შემოგვინახა განგებამ.

ასეთი ნაღვერდალი აჭარაში ღვივის.

„აჭარის მოსახლეობამ და უწინარესად მისმა ხელმძღვანელმა შეინარჩუნეს მშვიდობა, სტაბილურობა და აჭარის ფაქტორი დღეს ძალიან მნიშვნელოვანია საერთოდ საქართველოსათვის. ეს სტიმულს აძლევს საერთო-სახალხო მოძრაობას წესრიგისათვის, სტაბილურობისა და მშვიდობისათვის საქართველოში".

ეს თქვა სულ ახლახან, ექვსი სექტემბრის დილით ჩვენი სახელმწიფოს მეთაურმა.

ჩვენი გაზეთის აჭარის საკორესპონდენტო ბიუროს საქმიანობა მინდოდა სწორედ ამ სიკეთის, შრომისა და აღმშენებლობის ჩვენებით დამეწყო, მაგრამ...

ახლა ბათუმში, საერთოდ აჭარაში, ვისაც უნდა შეხვდე, ერთთავად ამაზეა ლაპარაკი, გადმოიღებენ გაზეთებს „შანსს", „დრონის", „ლიტერატურულ საქართველოს" და სხვებს, იხსენიებენ ტელეგადაცემებს, სადაც მართლაც, თითქოსდა საგანგებოდ, აჭარული, განსაკუთრებით კი მათი ხელმძღვანელის თემა ტრიალებს ყოველ ბრუნვაში.

აქ უკვე აშკარად ლაპარაკობენ იმაზე, რომ ყველაფერი ეს კეთდება იმისათვის, რომ გარკვეულ ძალებს სურთ ამით შეამზადონ ნიადაგი აჭარის ჭკუის სასწავლებლადაც.

გადახედავ ამ მასალებს და სულ რაღაც ორჭოფული, ზოგადი, გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი ბრალდებები, ეჭვი, ვარაუდი, ჭორაგმები და სხვა არაფერი, მაგალითად:

„...ეჭვის ქვეშ ვაყენებთ ბატონ ასლან აბაშიძის სამშვიდობო ინიციატივას", „მეჩვენება, რომ აქ სხვა ალიანსია" (თ. სიგუა); „მე ასლანი ერთი რამით მომწონს, რთულსა და სერიოზულ თამაშს ეწევა" (ა. ასათიანი); „ზოგიერთები, რომლებიც თითქოსდა შემრიგებლის როლს ასრულებენ რესპუბლიკაში, თავისი სახელი უნდა დაერქვას. მათი მიზანია: ჩვენი კუთხეები წაკიდონ ერთმანეთს, დასუსტდეს საქართველო, თავის რეგიონში შეინარჩუნონ სიმშვიდე და ამითი იტრაბახონ" (თ. შამიშვილი); „ცნობილია ფრაზა: „ის მესამე კაცი ახლა აჭარაშია!" (ი. სარიშვილი). „ასლან აბაშიძე ქართველი ალიევია" („იბერვიზია"); „აბაშიძემ სთხოვა ადმირალ ბალტინს, აჭარისა და აფხაზეთის შეყვანა რუსეთის იურისდიქციაში". („იბერვიზია", რადიო „თავისუფლება") და სხვა.

მართლაც, რა ხდება?

სწორედ ამის გასარკვევად ვთხოვე ბატონ ასლან აბაშიძეს გამოენახა დრო დიალოგისათვის:

— ბატონო ასლან, ერთობ ვწუხვარ იმის გამო, ჩვენი გაზეთის საკორესპონდენტო ბიუროს პირველი პუბლიკაცია არცთუ სასიამოვნო მასალით, აჭარის მიმართ ატეხილი ახალი კრიტიკის კრიანტელთან დაკავშირებული ვითა- [illegible] **ოტაჟი, შესაძლოა ამ მისიის შესრულება გაგიჭირდეთ კიდეც.**

— მოგეხსენებათ უკვე რამდენიმე წელია საქართველოში ომია და დაპირისპირება, დაიღვარა სისხლი, დაიღუპა ათასობით ადამიანი, ლამის არის წელში გავწყდით. ამ დროს კი თქვენც და აჭარასაც ზოგიერთი მოღვაწე თუ ჟურნალისტი თვითიზოლაციას, საერთო ეროვნული პოლიტიკისაგან განდგომას გიკიჟინებთ, ზოგჯერ, გარეგნულად, ასე ჩანს კიდეც... თქვენ რას იტყოდით?

— ახალი, მოულოდნელობებით სავსე დროა. ახალი ტერმინები შემოდის. ასეთ დროს ყველა თავის კუთხიდან ხედავს და აფასებს მოვლენებს. მხოლოდ დროსა და ისტორიას გამოაქვთ ერთადერთი სწორი მსჯავრი. თუ ამ ძნელბედობის ჟამს პრაქტიკულად ვინ რა გააკეთა საქართველოსათვის, მისი მომავლისათვის. ასე, რომ ეს ტერმინები ჩვენ ვერ მოგვესადაგება, რადგან აჭარაც და მისი ხელმძღვანელობაც ყოველთვის საქართველოს ცხოვრებით ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ, ყოველთვის მხარს ვუჭერდით და ვუჭერთ ცენტრალურ ხელისუფლებას. ქვეყანაში სტაბილურობის შექმნის საქმეში. იმასაც ვიტყვი: ის, რაც ამ არეულ დროში ჩვენთან გაკეთდა, ერთბაშად რომ გადაიტანოთ ქაღალდზე, შესაძლოა არც დაგიჯერონ.

— მაშინ ვერ გამიგია, ზოგიერთი ყოფილი თუ ახლანდელი მოღვაწე, ჟურნალისტი რატომ გდებთ ბრალს იმაში თითქოს „ორმაგ თამაშს" ეწეოდეთ და რაღაც ისეთი რამ გქონდეთ ჩადებული გულში, რომელიც ჭირაც ვერავის ამოუხსნია. თქვენ არასოდეს გიფიქრიათ იმაზე ხომ არაფერი შეგეშალათ, ან ოდესმე ისეთი ნაბიჯი ხომ არ გადაგიდგამთ, რომელიც ასეთ ეჭვს აღუძრავს ადამიანებს?

— როგორ გითხრათ, ეს ისეთი უზარმაზარი თემაა და რომ შევეცადო კიდეც, შესაძლოა მთელი საგაზეთო გვერდიც არ ეყოს. ჯერ თავიდან დავიწყებ: როცა ჩემი მოვალეობის შესრულებას შევუდექი, ნათლად ვიგრძენი, თუ როგორ ზამბარასავით იყო დაძაბული ჩვენთან ვითარება, როგორ მივექანებოდით უფსკრულისკენ. გამოსავალი მხოლოდ ერთი დავინახე — მთელი აქცენტი პოლიტიკურიდან ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე უნდა გადაგვეტანა. ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ მკაცრი საშემსრულებლო დისციპლინის დამყარებით, ამ პერიოდისათვის რაღაც ახალი, არაორდინარული ზომების გატარებით. ამიტომაც იყო, რომ ჩემი მუშაობის პირველივე თვის ბოლოს განვაიარაღეთ ყველა შეიარაღებული ფორმირება და იარაღი დავუბრუნეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს. მივხვდი, რომ ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილი ამ ხალხის საქმიანობა სიკეთეს არ მოუტანდა ქვეყანას და ამიტომაც შევეცადე შემეჩერებინა ეს დამღუპველი პროცესი. ეტყობა, ეს ნაბიჯი სწორი იყო, რადგან ჩვენთან არ მოხდა ის, რაც შემდგომ მოხდა საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში.

ერთიც არის: ჩვენ ვესაზღვრებით ისეთ ძლიერ ქვეყანას, როგორიც თურქეთია, სადაც საზღვარს იქით მილიონობით ჩვენი თანამოძმე ცხოვრობს. იმასთან ერთად, რომ თავისი ქვეყნისათვის თავდადებული მოქალაქეები არიან, ისინი ჩვენი განაყოფი, ახლო ნათესავები არიან და ამიტომაც დიდი ინტერესით შემოსცქერიან საქართველოს, განსაკუთრებით ახლო მეზობელ აჭარას, აქ, მიმდინარე პროცესებს. მათ სწორედ ჩვენთან, გვერდით მცხოვრებთაგან უნდა დაენახათ ნამდვილი ქართველის, ნამდვილი საქართველოს სახე. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ ამისათვის, პირველ რიგში სიმშვიდითა და წესრიგით, ურთიერთთანადგომით, მაგრამ... სხვაგან?

— ახლახან საზღვარს გაღმა, ბორჩხაში ყოფნისას, ერთმა შუახნის გადასულმა თანამოძმემ, ჩვენს დღევანდელ დაპირისპირებაზე რომ მეკითხებოდა, პირდაპირ ასე მითხრა: — დღეს თქვენში ბევრს ქართველობა ხონჩით მორთმეული ძღვენი მგონია და ამისათვის ყოველდღიური სწრაფვა და ბრძოლა რომ არის საჭირო, ამას კი ვერ ხვდებიან.

— იტყოდა, აბა, არ იტყოდა? ქართველობისათვის ნაბრძოლი კაცი კი არასოდეს ითამაშებს „ორმაგ თამაშს". იქნებ „ორმაგ თამაშად" ზოგიერთს ის ეჩვენება, რომ ჩვენ საქვეყნოდ არ ვტრაბახობთ (თუმცა ზოგიერთი ამასაც გვაბრალებს!) იმით, რასაც ვაკეთებთ საქართველოს მთლიანობისათვის და იმითაც, რომ ზოგიერთივით გესლსა და ღვარძლს არ ვანთხევთ იმათ, ვინც ცდილობს ყოველივე ეს წყალში ჩაგვიყაროს?

ნახეთ ერთი, რა არ იკადრეს: „ავის მომასწავებელი სიჩუმე", „აჭარაში დიდი ღალატი მზადდება" და ვინ მოთვლის, კიდევ სხვა რამდენი სიბილწე. ეს არ გაუმართლდათ. პირიქით, ამ პერიოდში ბევრი ისეთი რამ გავაკეთეთ, რაც თვალნათლივ ადასტურებდა ჩვენს თანადგომას, იმის მონდომებას, რომ ვყოფილიყავით ცენტრალური ხელისუფლების ნამდვილი დასაყრდენი საქართველოს ერთიანობის, მისი ეკონომიკური აღორძინებისათვის ბრძოლაში. აკი ამიტომაც ითქვა, რომ აჭარაში შექმნილი მშვიდობისა და აღმშენებლობის ატმოსფერო მთელ საქართველოში უნდა გავრცელდესო. მართლაც, ისე რომ წარმართულიყო ჩვენი ცხოვრება, როგორც ამას სახელმწიფოს მეთაური ფიქრობდა, ახლა სულ სხვა ვითარება გვექნებოდა საქართველოში.

მაგრამ იმძლავრეს ძალებმა, რომლებსაც ხელს არ აძლევდათ სტაბილიზაცია და სიმშვიდე საქართველოში. აჭარაში კი არა, აი სწორედ აქ იდო ის ღალატი, რომელმაც ამ დღეში ჩაგვაგდო.

„ორმაგი თამაში" ის არის, როცა ერთს ამბობ და მეორეს აკეთებ. შენებას ქადაგებ — ფაქტობრივად კი ანგრევ. მოდი და, ნუ იტყვი: დღეს ამას სწორედ ის ძალები გაჰკივიან, ვინც არ აძლევს აღმშენებლობის საშუალებას ხელისუფლებას. ახლა სწორედ ისინი ეძებენ „განტევების ვაცს" აჭარაში... მოდი და, ნუ გაგეცინება!

— ბატონო ასლან, შეგახსენებთ: თქვენმა ე. წ. „ორმაგმა თამაშმა" განსაკუთრებით მაშინ წამოიწია წინა პლანზე, როცა თქვენ შუამავლის როლი იკისრეთ და დაპირისპირებულ ქართველთა ორივე მხარე მიიწვიეთ მოლაპარაკების მაგიდასთან. მიზანი, იცოცხლეთ, უკეთილშობილესი იყო, მაგრამ შედეგი? თქვენ როგორ ფიქრობთ, რატომ გაუჩნდა მავანს აზრი ასე შეეფასებინა თქვენი როლი ამ საქმეში, იმიტომ ხომ არა, რომ თქვენი შეცადინეობით ხელმოწერილმა ხელშეკრულებამ არ იმუშავა?

— ნებისმიერი ხელშეკრულება მხოლოდ მაშინ იმუშავებს, როცა არსებობს ორმხრივი პასუხისმგებლობა და მისწრაფება — ორივე მხარემ დაიცვას დათქმული და შეთანხმებული. ჩემი უმთავრესი მიზანი ის იყო, რომ როგორმე აგვეცილებინა საქართველოსათვის ის ძმათა კვლა, ნგრევა-გაპარტახება, რაც შემდგომ მოხდა; ამისათვის ქობალიას კი არა, ჯუნგლების კაციჭამია ტომის ბელადსაც კი ვაკოცებდი. თუმცა ჩემამდე ეს პროცესი ჩემზე არანაკლები მონდომებით ჩაატარეს სხვებმაც... ტელევიზიით კი ეს კოცნა მხოლოდ ჩემი აჩვენეს, თანაც რამდენჯერმე გაიმეორეს შენელებული კადრით. მიზანი ამ ტელებრალდებისა ყველასათვის გასაგებია, მაგრამ ამას გაუძლებს კაცი. მთავარი იყო, როგორმე აგვეცილებინა სამოქალაქო ომი. ასეთივე იყო სახელმწიფო დელეგაციის მისწრაფება, რაც ხელშეკრულების დადებაში გამოიხატა. მაგრამ ერთი რამ მაინც მოხდა სასიკეთო. კონფრონტაცია, რომელიც უკვე დაწყებული იყო, შეწყდა, ჩამოდგა ზავი, გაიხსნა არტერიები, აქ შემოსული ტექნიკა შეუფერხებლად დაიძრა აფხაზეთისაკენ, რაც შეგვეძლო ნაყოფიერად გამოგვეყენებინა საქმის სასიკეთოდ. აფხაზეთში ახალი ძალით აზვირთებულ ომს, სოხუმის გასაჭირს უნდა გაეერთიანებინა ეს ორივე ძალა, ასეთი იყო ლოგიკა, პერსპექტივა, რომლითაც მე ვმსჯელობდი. სიმართლე გითხრათ, სწორედ ამიტომაც ვიტვირთე ეს მისია. მაგრამ ხელშეკრულებამ ბოლომდე არ იმუშავა. მიზეზი? — ყველასათვის ნათელია: თვით ისინი, რომლებიც დღეს ჩემს „ორმაგ თამაშზე" და „იზოლაციონიზმზე" ყაყანებენ, თავადვე აცხადებენ, რომ მოხდა საუკუნის ღალატი საქართველოს ისტორიაში. ამიტომაც ვიტყვი: თუ ეს ასეა, მაშინ დამისახელეთ კაცი, ვისაც შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა, რომ ამ ისტორიულ მომენტში ურთიერთუნდობლობას ვერ დაძლევდა ქართველობა?

რაც შეეხება ქობალიას, ჩემამდეც და ჩემს შემდეგაც მას რესპუბლიკის ყველა ხელმძღვანელი შეხვდა, მაგრამ მავანს არავისთვის არაფერი დაუბრალებია.

— ბატონო ასლან, იმ უდიდეს წვლილზე, რომელიც გაიღო აჭარამ აფხაზეთში ომისათვის, საერთოდ არაფერი იცის ჩვენმა ხალხმა. მითქმა-მოთქმამ კი, რომ აჭარა თურმე საერთოდ არ მონაწილეობდა ამ ომში, ლამის არის წალეკოს პრესა. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ ხვდებოდა ეს ინფორმაცია ჩვენს საინფორმაციო საშუალებებში?

— მე ყოველთვის თავს ვიკავებდი ხმამაღლა მეთქვა ის, რაც აჭარამ გააკეთა აფხაზეთის ომისათვის. ასეთ თემაზე წესიერი ქართველი არ უნდა გაჰკიოდეს. (მით უმეტეს, ტრაბახობდეს). მაგრამ ამოგვივიდა ყელში ამდენი უსაფუძვლო ბრალდების, დეზინფორმაციის მოსმენა. ამიტომაც, გადავწყვიტეთ, მთელი ამ ძალისხმევისათვის დოკუმენტის სახე მიგვეცა და მიგვეწოდებინა როგორც ხელისუფლებისათვის, ისე საინფორმაციო საშუალებებისათვის. აი, ჩვენ გვინდა ოფიციალურად გადმოგცეთ იგი და გთხოვოთ, თქვენმა გაზეთმა გამოაქვეყნოს თუნდაც, არასრული ნუსხა იმ არასაიდუმლო თუ საიდუმლო ღონისძიებებისა, რომლებიც განხორციელდა ამ მიმართულებით.

ამონაწერი აჭარის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან: „მარტო 1992 წელს გადამუშავდა და აფხაზეთში გაიგზავნა 7.195 ტონა — 3. 609. 175. 000 კუპონის ღირებულების ნავთობპროდუქტი (ბენზინი, საავიაციო ნავთი, დიზელის საწვავი, მაზუთი), 1993 წლის იანვრიდან 1 ნოემბრამდე 18.280 ტონა ღირებულებით 6.654.819.000 კუპონის.

(დასასრული მე-3 გვ.).

ანათემა თანადგომისათვის?!

(დასასრული).

აქედან მილიონ ნახევარი ღირებულების 3.542 ტონა უსასყიდლოდ. მათ შორის, სოხუმის ავიარაზმს მიეწოდა 2000 ტონაზე მეტი საავიაციო ნავთი, რამაც პრაქტიკულად განაპირობა მისი მუშაობა.

დასავლეთ საქართველოში დაძაბულობის დაწყების დღიდან ფოთი-ქუთაისის სარკინიგზო მაგისტრალის დამცველ რუსეთის სამხედრო შენაერთებს გადაეცა 440 ტონა — 1.528.000.000 კუპონის ღირებულების ნავთობპროდუქტი. კონფლიქტურ სიტუაციაში მყოფ ბლოკირებულ რაიონებში ოზურგეთი, ფოთი, სამტრედია და ა. შ.), გადაეცა 2.520 ტონა. მიმდინარე წლის პირველ ნოემბრამდე კი 14.945 ტონა ნავთობპროდუქტი, საერთო თანხით 4.667.021.000 კუპონი. გაგრის ტრაგედიიდან მოყოლებული, დღემდე, აჭარაში გამოყვანილ იქნა 40 ათასამდე ლტოლვილი. აქედან 27 ათასი მათი სურვილისამებრ, სხვადასხვა სახის ტრანსპორტით უსასყიდლოდ იქნა გადაყვანილი როგორც საქართველოს, ისე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქებსა და რაიონებში, რაც სამ მილიარდ ნახევარზე მეტი დაუჯდა აჭარას. დღეისათვის კი აჭარაში დაბინავებულია 12.529 ლტოლვილი, რომელთა შენახვასა და უზრუნველყოფაზე ყოველთვიურად იხარჯება 11.298.000.000 კუპონი. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით გამოყოფილია მხოლოდ 877.000.000 კუპონი ანუ მოთხოვნილების 8 პროცენტზე ოდნავ მეტი

ამრიგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან აფხაზეთის კონფლიქტის რეგიონში მიწოდებული ნავთობპროდუქტების, ხორბლის, სამრეწველო ნაწარმისა და ლტოლვილთა შენახვისათვის გაწეულმა ხარჯებმა (სამხედრო დანიშნულების ტვირთის გარდა), მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე შეადგინა 33.280.637.000 კუპონი. აქედან მხოლოდ 11.947.576.000 კუპონი მოდიოდა საქართველოს ცენტრალიზებული წყაროებიდან, ხოლო 21.333.667.000 გაიღო აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ, რაც მის სახელმწიფო ბიუჯეტს თითქმის ორჯერ აღემატება".

— ახლა ისიც ვთქვათ, რასაც აქამდე საიდუმლოდ ვინახავდით: აფხაზეთის ომში, მისი დაწყების დღიდან, რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს განაწილებით აჭარიდან საომარ ოპერაციებში მონაწილეობდნენ 25-ე მოტომსროლელი ბრიგადა, აჭარის ლეგიონი და მოხალისეთა რაზმები, მათ შორის იყვნენ თვით ბათუმის დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობებიც. ისინი მედგრად იცავდნენ სოხუმს, იბრძოდნენ შრომა-ახალშენში, შემდეგ ოჩამჩირეში, ცაგერა-ტამიშის, მიმდინარე წლის ოქტომბერში კი ოზურგეთისა და ფოთის მისადგომებთან. ბევრი დაიჭრა, ბევრიც დაიღუპა, მათ შორისაა „სუ-25"-ის ერთი პილოტიც.

აჭარიდან იგზავნებოდა მთელი ავტოეშელონები სატანკო ჭურვებით, ვერტმფრენებით გადაგვქონდა დიდი რაოდენობის სამხედრო დანიშნულების ტვირთი, ტყვია-წამალი, ხელყუმბარები, სამხედრო აღჭურვილობა, ტექნიკა. ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი. მაგრამ რაც ჩამოვთვალე, თვით ყველაზე ურწმუნოთათვისაც კი, ვფიქრობ, ნათელს გახდის იმას, თუ როგორი თანადგომა ჰქონდა ცენტრალურ ხელისუფლებას აჭარიდან, მისი ხელმძღვანელებისა და მოსახლეობისაგან.

აი, ასეთი გახლავთ რეალობა. რაც შეეხება შეფასებას, დაე, ეს ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა საზოგადოებრიობამ გააკეთოს.

— ბატონო ასლან, ამ დროს კი ზოგნი იმაში გდებდნენ ბრალს, თითქოს თქვენ მკვეთრად და ცალსახად არ გამოხატეთ თქვენი პოზიცია. ხშირად ამ დროს გახდით „იზოლაციონისტი", „ჩაბაფრებული კაცი", „ქართველი ალიევიც" და... რას გვეტყვით, ამდენი სახელისა თუ იარლიყის მიწებება რით უნდა იყოს განპირობებული?

— რაც შეეხება ჩემს „იარლიყებსა და ტიტულებს", ეს იმ ძალების სინდისზე იყოს, რომლებსაც არაფრის დანახვა არ სურთ, ისინი მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ სახელმწიფოს მეთაურს და ქვესკნელში მიაქანებდნენ საქართველოს. ცხადია, მათ მე ანგარიშს ვერ გავუწევდი და ვიდრე პირში სული მიდგას, ვერავის დავანებებ აჭარას საჯიჯგნად და საძარცვავად.

აი, რა არ მოსწონთ!

იმისათვის, რომ ამ ბნელეთს, მაფიას გაუმკლავდე, მათ პროვოკაციებს არ წამოეგო, ზოგჯერ ისეთი რადიკალური ქმედებაა საჭირო, რომ საქმეში ჩაუხედავ კაცს შეიძლება მართლაც მოეჩვენოს რაღაც. ალბათ სწორედ ვითარების ასეთი არაორდინარულობის შედეგია ის, როცა ვიღაც რაღაც საკირკიტოს პოულობს ჩემს განცხადებებსა და ქმედებაში. იცით, რას ვეტყვი ასეთ ხალხს? — როცა გარშემო აფთრები შემოგეწყობიან და მზად არიან, გაგგლიჯონ და გაგპარტახონ, იძულებული ხდები, შენც დაუღრინო და კბილებიც უჩვენო. ამას იმისათვის კი არ ვაკეთებ, რომ საქართველოს ხელისუფლებას განვუდგე, არამედ იმისათვის, რომ შევაჩერო, ბოროტებაზე ხელი ავაღებინო იმათ, ვინც ასე ბღალავს ჩვენი ქვეყნის ღირსებას და არ გვაძლევს საშუალებას, ვიხსნათ ქვეყანა.

აქტუალური ინტერვიუ

აქამდე არ მითქვამს, ახლა კი ვიტყვი: განა ჩვენი მონაწილეობით არ ხდებოდა დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი რეგიონის რკინიგზის დაცვა? განა თავისით მოხდა გურიის რეგიონებს რომ თავზე არ დაატყდა ის, რაც სხვაგან მოხდა? სამტრედიიდან ქობულეთამდე რომ ტრაგედია არ დატრიალდა, განა ჩვენი ძალისხმევის შედეგი არ იყო? იქაც და ფოთის მისადგომებთანაც აქ არის ბრიგადა წინ რომ აღუდგა მოსალოდნელ კატასტროფას, განა არ უნდა იცოდეს ჩვენმა ხალხმა? რამდენი ერთი ჩამოვთვალო.

აი, მაგალითად, მოდით, გავარკვიოთ, რას ეძახით თქვენ ხელისუფლების მხარდაჭერას? რამდენი იყო ისეთი, ვინც აქეთ გვდებდა ბრალს განდგომაში, მერე კი თავად აღმოჩნდა ხელისუფლებისათვის მიუღებელი და განდგომილი. ეს იმიტომ, ხდება, რომ ცხოვრების მარათონს ყველა ვერ უძლებს, მით უმეტეს, ჩვენთან, მათთვის ჯერაც გამოუცნობი აბაშიძე კი ყოველთვის რჩება ის, რაც იყო და არის.

მოგეხსენებათ, კონკრეტულად მე პერსონალურ პასუხს ვაგებ აჭარაში არსებულ მდგომარეობაზე. აქ გვაქვს ის, რისთვისაც ასე ილტვის მთელი საქართველო: სიმშვიდე, წესრიგი, აღმშენებლობითი პროცესი. აქ დღიდაღამ მუშაობს ყველა საწარმო, პორტი, (ხშირად უხელფასოდ), რომელიც სასიცოცხლო არტერიაა საქართველოსთვის. აქ დაუმუშავებელი არ დარჩენილა არც ერთი გოჯი მიწა. ბოლო დიდი წყალდიდობის შემდეგ აქ აშენდა და მწყობრში ჩადგა 128 ხიდი, 4 სკოლა, წყალმომარაგების სათავე ნაგებობანი და ბევრი სხვა. განა ეს მხარდაჭერა არ არის?

როცა აჭარის აღორძინების კავშირის 8 დეპუტატი საქართველოს პარლამენტში ყოველთვის მხარში უდგას სახელმწიფოს მეთაურს, ის მხარდაჭერა არ არის? როცა საქართველოს ხელისუფლების მთელი კურსი ყოველგვარი კომენტარის გარეშე მიეწოდება აჭარის მოსახლეობას პრესითა და ტელევიზიით, ის, რომ აქ არ დავუშვით საზოგადოების გახლეჩა, თავიდან ავიცილეთ კრიმინოგენური ვითარების გართულება და ამით კიდევ ერთი დამატებითი პრობლემა არ შევუქმენით საქართველოს, განა ეს მხარდაჭერა არ არის?

იმ პრობლემებს, რომლებსაც ჩვენ გვიქმნიან, ცილისწამებასა და ისტერიას, რომელიც უკვე მერამდენე წელია, დროდადრო მოემართება აჭარისაკენ და წამლავს, ყველაფერს რომ ვიტანთ და დღენიადაგ ვაოკებთ მოსახლეობის უკურეაქციის ამოხეთქვას, განა ეს მხარდაჭერა არ არის?

ამასთან, აჭარიდან საქართველოს განსამტკიცებლად ზოგიერთ რაიონში ჩასახლებულ აჭარელთაგან დღეისათვის უკვე 5 ათას კაცს თათრობის მოტივით შეურაცხყოფილს რომ გამოაძევებენ და ამის თაობაზე ერთ სასაყვედურო სიტყვასაც არავის ვეტყვი უმოქმედობისათვის, განა ეს მხარდაჭერა არ არის?

40 ათასამდე ლტოლვილს რომ მიიღებ, გაანაწილებ, დააპურებ, შეიფარებ, მოეფერები ძირითადად საკუთარ ხარჯზე. მხარდაჭერა არ არის?

თუ ვიღაცას ჰგონია, რომ თანადგომა მარტო ლაქუცი, კუდის ქნევა ან წინასწარი განზრახვით მავანთან ამბის მისატანად დითირამბების კორიანტელის დაყენებაა, სწორედ ასეთ თანამდგომელთა „ღვაწლის" სავალალო შედეგია ის, რასაც ვიმკით დღეს აჭარაშიც და საერთოდ საქართველოშიც. განა ვერ ვხედავთ იმას, სადამდე შეიძლება მიგვიყვანონ ახალი ჩამოსხმის იაგო-შადიმანებმა თავიანთი გესლიანი ჩურჩულითა და მაბეზღარობით?

დღეს სახელმწიფოს მეთაურს უპირველესად ისეთი თანამებრძოლი სჭირდება, ვინც სიტყვით კი არა, საქმით აშენებს ქვეყანას, მისდევს სამართლიანობის გზას. ყველა ასეთი კაცი უნდა მივიღოთ და მოვიხდინოთ, თუნდაც არ გვეპიტნავებოდეს.

წინასწარ ხელს მოვაწერ, რომ ის კაცი, რომელსაც ასე ეძებენ, აჭარაში არ არის, ყველამ კარგად იცის, სადაც არის. რამდენჯერ უნდა ვუთხრა და ვუმტკიცო დიდსაც და პატარასაც, რომ აბაშიძე ის კაცი არ არის, ასეთ სკამს რომ შეეპოტინოს, რადგან ძალიან კარგად იცის თავისი შესაძლებლობები, მასშტაბები და მოქმედების არეალი.

ასე რომ, თქვენს „ალიევობას" ისევ ჩემი აბაშიძეობა მირჩევნია, რადგან ყოველთვის კარგად ვგრძნობდი და კვლავაც ვიგრძნობ თავს ჩემს მამულეთში, სადაც შემიძლია თვალი გავუსწორო ყველა ჩემს პატიოსან თანამოძმეს.

ისე კი, ბოლოს ერთ აზრს შევთავაზებდი ჩემს ოპონენტებს: იმათ, ვინც უკვე დაიღალა, ან ატყობს, რომ იღლება ამდენი ჭორების აგორებით ან მოსმენით: — ეგებ ერთ ცისმარე დღეს ავდგეთ, შევაფურთხოთ ეშმაკს და შევიკრიბოთ ბათუმში. თქვენ თქვენი თქვით, ჩვენ ჩვენსას ვიტყვით. რა ვიცით, ეგებ მივიდეთ იქამდე, რომ ვთქვათ: — ყარი ვუთხრათ ღვარძლსა და გესლს და გამოვაცხადოთ სიყვარულისა და თანადგომის წელიწადი;

ეგებ მაშინ მართლა ეშველოს საქართველოს!

ეპილოგისათვის:

— რა ქენით ახლა, ბატონებო, რას მირჩევთ, რა ვუპასუხო იმ ბათუმელ ქალბატონს, შეშფოთებულმა რომ მკითხა: — რავა, მართლა შემოგვესევიანო?

პასუხი, დაე, იმათ სინდისზე იყოს, ვისაც ასე მიზანმიმართულად მიჰყავს საქართველო სრული კატასტროფისაკენ და ჰგონია ეს კუთხეც თუ ქვეყანაც მართლა ჩალით იყოს დახურული.

დესტრუქციულ ძალებს, დივერსანტებს, ტერორისტებს და მამაძაღლებს ამიტომაც ვერ გამოლევეთ ბათუმში. ზოგი ჩუმად მოძვრება „სნაიპერის" შაშხანებითა და მაფიის საგანგებო დავალებებით აჭარაში, ზოგი იმდენ ასაფეთქებელს უდებს აბაშიძის სახლს, რომ მთელ კვარტალს ეყოფა ცაში ასაწევად, ზოგი ცდილობს ერთმანეთს წაკიდოს საგვარეულოები, თანამდგომნი, მეზობლები. ზოგიერთი „აჭარის ციხის" შიგნიდან გატეხისათვის არ იშურებს ძალებს. უკანასკნელ ხანს ზოგიერთ გაზეთში ერთობ მოარული გახდა ე. წ. „ასანიძეების საქმე". მეც ვკითხე ბატონ ასლანს ამის თაობაზე.

— ეს ჩემთვის განსაკუთრებულად მტკივნეულია. მე წამოვწიე ეს ხალხი. მათ თითქმის ნახევარი აჭარა ჩავაბარე. მაგრამ... მიმუხთლეს, უფრო სწორად, საკუთარ ხალხს უღალატეს, ახლა მიმდინარეობს გამოძიება და სჯობს, ამაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს გივი ბაკურიძეს ვკითხოთ.

მეც ვკითხე:

— რომ იტყვიან, სახეზე იყო ტერორისტული აქტის ხელისუფლების წარმომადგენლის, ამ შემთხვევაში, ბატონ ასლან აბაშიძის მკვლელობის მცდელობის ფაქტი, — მითხრა გივი ბაკურიძემ, — რის გამოც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას, რომელმაც უკვე ბევრი რამ დაადგინა, უფრო ღრმად მივყევართ, მაგრამ ამაზე საბოლოო დასკვნას მოგახსენებთ გამოძიების დასრულებისთანავე. ამჯერად ვიტყვი, მხოლოდ იმას, რომ პრესის ზოგიერთ ორგანოში ატეხილი აურზაური და მითქმა-მოთქმა თითქოსდა მთელი საგვარეულოს დევნის, პატიმრობაში აყვანისა და რეპრესიების გამო, უბრალოდ რომ ვთქვათ, ელემენტარულად არ შეესაბამება სინამდვილეს. დასადგენი უნდა დადგინდეს და დადგინდება კიდეც. მერე კი, მართლმსაჯულებამ თქვას თავისი სიტყვა.

კარგად მესმის აჭარის პროკურორის ბატონ გივი ბაკურიძის... ჯერჯერობით იგი თავს იკავებს ბოლომდე თქვას სათქმელი, მაგრამ, როგორც შევამჩნიე, იტყვის, და იტყვის სულ მალე. ფაქტი ერთია, დღეს ყველა ხერხი თუ ფანდი მუშაობს იმისათვის, ოღონდ აიმღვრეს წყალი, ამტუტდეს აჭარაც და ვიღაცამ აქ დიდი ხნის ნანატრი „თევზი" დაიჭიროს, აქაურობაც წაბილწოს და გააპარტახოს.

ზოგჯერ გაოცდები კაცი: აქ, თბილისში, ქალაქის პროკურორს თვალწინ გვიხვრეტენ, მავანსა და მავანს ტერორისტულ აქტებს უწყობენ და პრესაც დუმს და მართლმსაჯულებაც. ბათუმში საქმეს იძიებენ, თბილისში კი პრესაც და... მავანიც, რომ იტყვიან, ტანისამოსს იხევენ. რაშია საქმე?

ერთს კი ვეტყოდი იმ ძალებს, ვინც ცდილობს ახალი ანტიაჭარული ისტერია გააჩაღოს:

— ფრთხილად, ბატონებო! გახსოვდეთ: აჭარა ის კუთხეა, საიდანაც დღეს ნამდვილი საქართველო იწყება. და ისიც — ქობულეთს იქით არც ადლერია, არც ტუაფსე და არც გროზნო-ნალჩიკი...

მოდით, კიდევ უფრო მეტად ნუ გავაცინებთ მსოფლიოს!

გია ჟელიძე.

ფირმა «ლიტა»

გთავაზობთ:

ბანკებისა და სააქციონერო საზოგადოებების საყურადღებოდ!

— სპეციალურ, ამერიკულ, შვეიცარიულ და ფინურ წარმოების ქაღალდზე აქციების, სერტიფიკატების და სხვა ფასიანი ქაღალდების თქვენთვის სასურველი დიზაინითა და მხატვრული გაფორმებით, სათანადო ნუმერაციის დაცვით.

ქარხნების, ფაბრიკებისა და კერძო მწარმოებლების საყურადღებოდ!

თუ გსურთ თქვენს მიერ წარმოებული პროდუქცია უფრო ხელმიმზიდველად გამოიყურებოდეს, ფირმა გთავაზობთ:
— თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების დონეზე შესრულებულ ეტიკეტებს, როგორც საკუთარი, ისე შემოთავაზებული დიზაინით.
— ფერადი ეტიკეტების დამზადებას.

ფირმა აგრეთვე გთავაზობთ:

— საწარმოს სასაქონლო ნიშნის, ემბლემის და საფირმო ხელის დამუშავებას, მაკეტების დამზადებას და ილუსტრირებას.
— სავიზიტო ბარათებისა და ნებისმიერი ტიპის ბლანკების დამზადებას;
— ყველა სახის პოლიგრაფიული სამუშაოების შესრულებას მაღალ დონეზე;
— შესაფუთი მასალის დიზაინს, გაფორმებას და დამზადებას.

მისამართი:
მ. კოსტავას 14,
ტელ: 93-43-22,
შიდა ტელეფონი: 5-90

მისამართი:
მ. კოსტავას 14,
ტელ: 93-43-22,
შიდა ტელეფონი: 5-90

შემყურენი ბატონ პავლე ინგოროყვას პორტრეტს და თქვენს წინაშე ცოცხლდებიან გარდასულ დროთა ჩვენი ცივილიზაციის ბურჯთა ბურჯები, — ხანძთელები და შატბერდელები, სინის მთისა და ათონის, იერუსალიმისა და დავით გარეჯის მოღვაწეები. ამ მოღვაწეებს ბატონი პავლე გვაგონებს არა მარტო მისი კოლოსალური შრომისუნარიანობით, განსწავლულობით, ნიჭიერებით და პროდუქტიულობით, არამედ ამასთანავე, ბიოგრაფიული შტრიხებითაც: მას, ისევე, როგორც ცივ სენაკებში დაყუდებულ ჩვენ წმინდა ბერებს, არ ამშვენებს ამა სოფლის ტიტულატურა: ლაურეატობა იქნება ეს თუ აკადემიკოსობა, მაგრამ თუ მაინცდამაინც აუცილებელია ტიტულატურა, მას ჩვენ დიდ წინაპართა მარტყოფელისა და მოდრეკილის მსგავსად უნდა ეწოდოს პავლე შეწირული ან პავლე ჯვარცმული, შეწირული იმიტომ, რომ იშვიათად ნახავთ, ისიც ახალი დროის პერიოდში, ადამიანს, რომელიც ასე დემონსტრაციულად განდგომოდეს ამა სოფლის სიამეთა ცდუნებას და მთელი არსებით შეწირვოდეს თავისი სათაყვანებელი ქვეყნის სულიერი განძის წარმოჩენასა და განდიდებას, ხოლო ჯვარცმული იმიტომ, რომ ასევე იშვიათად ნახავთ ადამიანს, რომელიც ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურებისა და ამა სოფლის ძლიერთა მიერ ასე იყოს ნატანჯი და გარიყული, გაკიცხული და მსჯავრდადებული.

შემთხვევით არ ვამბობთ მსჯავრდადებულიო, რადგან მწერალთა კავშირის დარბაზში, რუსთაველის იუბილის დღეს სასტიკი აუტოდაფე მოუწყვეს მის ნაწერებს, სასაცილო და კურიოზული ისაა, რომ რუსთაველის იუბილე 1966 წელს დადგენილი და აღნიშნული იქნა ბატონი პავლეს შრომებისა და მის მიერ დათარიღების საფუძველზე, ხოლო თვით ავტორი ამ თარიღის დამკვიდრებისა ისე გაირიყა, რომ სამეცნიერო-საზეიმო სესიებსა და სხდომებზე არამც თუ მომხსენებლად, არამედ დამსწრეთაც კი არ იყო მიწვეული, რის გამოც, ბატონი ემანუილ აფხაიძე მისთვის ჩვეული იუმორით აღნიშნავდა, „ეს რა არის, ეს რა მოხდა, ინგოროყვა მავნებლების რიგში მოჰყვა". ასე გულნაკლული წავიდა ცხოვრებიდან ბატონი პავლე, მაგრამ მოხდა საბჭოთა სისტემის არსებობის მთელ მანძილზე არნახული საოცრება; როდესაც სამგლოვიარო პროცესია ძვირფასი ნეშთით მიუახლოვდა ქაშვეთის ეკლესიას, უცბად აწკრიალდა ქაშვეთის ზარები და სამრეკლოზე ხელაპყრობილი ახალგაზრდა ჭაბუკი ღმერთს ავედრებდა განსვენებულის სულს და თავგამეტებით რეკდა ზარებს, მთელი პროცესია გაითანგა უჩვეულო მოულოდნელობისაგან, ხოლო ერთგული დარაჯები სისტემისა, მაშინ სისტემა ჯერ კიდევ ძალმოსილი იყო, გაექანენ ქაშვეთის ეკლესიისაკენ, რათა გაებაწრათ ეს „მკრეხელი", მაგრამ ჭაბუკი მისგან მოულოდნელი სპორტული ილეთით თავს გადაევლო ღობეს და გაუჩინარდა, ხოლო შემდეგ ვითარცა ჭეშმარიტი, ჭირისუფალი თავს ედგა სასაფლაოზე დასვენებულ ბატონ პავლეს ცხედარს, ეს ჭაბუკი გახლდათ შესანიშნავი მოქალაქე და მწერალი ბატონი როსტომ ჩხეიძე.

საშვილიშვილო ღვაწლი

პოეტური გზნების მკვლევარი

ბატონი პავლე ინგოროყვა დაიბადა 1893 წ. 1 ნოემბერს ფოთში, ფოთში სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1912 წელს მიემგზავრება პეტერბურგში და ექვთიმე თაყაიშვილის ზრუნვითა და ინიციატივით ენიშნება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტიპენდია, რის წყალობითაც, სწავლას იწყებს პეტერბურგის უნივერსიტეტში ისტორია-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, იქაურმა ჰავამ ცუდად იმოქმედა ისედაც სუსტი ჯანმრთელობის ყმაწვილზე და 1915 წ. იძულებული ხდება დაბრუნდეს სამშობლოში. ცოდნის დაუოკებელი წყურვილის მქონე ჭაბუკი ოცნებობს, რომ სწავლა გააგრძელოს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ ახერხებს. არა და სწავლის შინაგანი მოთხოვნილება მთელი ძალით ეწევა ევროპისაკენ. რა საოცარი სიმწარე გვარგუნა ბედმა, რაც უპირველესად ჩვენი საზოგადოების მიერ ნიჭიერ ახალგაზრდებისადმი უყურადღებობაში ვლინდება. თუ XIX საუკუნის დასაწყისში ნიკოლოზ ბარათაშვილი გოდებდა „კაცი მინდა, რომ პატარა ღრე-კლდის გამიყვანოს, და დავდგე გაშლილს ადგილზე", მეოცე საუკუნის დასაწყისში იმავე ტკივილს უზიარებს ფოთიდან პავლე ინგოროყვა ღვაწლმოსილ მხცოვან მეცნიერს მოსე ჯანაშვილს: „სიქტემბერში ევროპაში ვაპირებ, უნივერსიტეტში და ფული საშინლად მჭირდება. მამაშვილურად გთხოვთ დამავალოთ და როგორმე დააჩქაროთ კომიტეტის შესაფერისი გადაწყვეტილება". საეკლესიო მუზეუმის კომიტეტიდან ელოდება ჰონორარი „ძველი ქართული სასულიერო პოეზიის" გამოცემისათვის, მაგრამ ვერც ჰონორარი მიიღო (კომიტეტის უსახსრობის გამო) და ვერც ჰაიდელბერგის უნივერსიტეტს ვერ მიაშურა.

ოფიციალური სასწავლო კერები ბატონ პავლესათვის მიუწვდომელი გახდა, მაგრამ რა დააოკებდა ცოდნის შეძენის ფანატიკურ შინაგან მოთხოვნილებას, და მისი სათაყვანებელი ერის სულიერი კულტურის გამომზეურების მისწრაფებას. იგი სიყმაწვილიდან ჩაუღრმავდა დიდ ფოლიანტებს და დაიწყო მათი შესწავლა.

ჯერ კიდევ 19 წლის ჭაბუკმა მოვლო და შეისწავლა მარტვილის, ჯრუჭის, გელათის, უბისის და უდაბნოს მონასტერთა წიგნთსაცავები.

ბატონი პავლე იმ სტილის პიროვნება იყო, რომელსაც მეცნიერება გააზრებული ჰქონდა არა როგორც მხოლოდ თვითმიზნური, კაბინეტური მუშაობის სფერო, არამედ ამასთანავე, როგორც ერის ღირსებისა და სიდიადის გამოვლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, მასში ეროვნული პრობლემა და ინტერესი იყო წარმმართველი და შთამაგონებელი ფაქტორი და ამიტომაც, სიყმაწვილეშივე დაიწყო ფართო მასშტაბის ეროვნული მოღვაწეობა.

რევაზ გაბაშვილის მოწმობით, ოცდასამი წლის ჭაბუკი პავლე ინგოროყვა ეროვნულ საბჭოში პოლიტიკურ ლიდერებს ჯოხით ხელში რუკაზე უხსნიდა საქართველოს ნაწილების საზღვრებს, დიახ, ჩვენი საზღვრების ხელყოფა და მისი დარღვევა აწუხებდა ბატონ პავლეს და ამიტომაც იყო, რომ საქართველოს საზღვრების დამდგენ კომისიაში ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით მიიწვიეს სრულიად ახალგაზრდა პავლე ინგოროყვა და სწორედ მას მიანდეს ამ საზღვრების მოხაზვა. მან კი მისთვის ჩვეული ენერგიითა და ცოდნით, ასე ჩამოაყალიბა ჩვენი ქვეყნის საზღვრების მოხაზულობა: „სამხრეთიდან გადის მცირე კავკასიონის ქედზე. მიდის ბორჩალოს მაზრის სამხრეთ საზღვართან, გადადის გოგჩის ტბის ჩრდილო ნაპირამდე. უხვევს ჩრდილოეთით მდინარე აღსტაფაზე, მიდის სადგურ ძეგამამდე, შეიცავს საინგილოს და თავდება სილაღვათის მთით" მაგრამ მისი მსჯელობა დარჩა ღაღადისად უდაბნოსა შინა.

სწორედ საზღვრის საკითხმა და საფიქრალმა ჩაიყვანა პავლე ინგოროყვა და რევაზ გაბაშვილი თურქეთში, სადაც წყდებოდა ჩვენი ქვეყნის საზღვრების საკითხი, მაგრამ საზღვრების საკითხს სამწუხაროდ, წყვეტს არა ლოგიკა, ისტორიული სინამდვილე, და სამართლიანობა, არამედ ფიზიკური ძალა, რომელმაც იმჯერადაც გაიმარჯვა.

პავლე ინგოროყვა ის რაინდი სწავლული იყო, რომელიც მხოლოდ კალმით არ იცავდა მშობლიურ საზღვრებს. ეს გამხდარი, ნახევრად სნეული ჭაბუკი საქართველოს საზღვრების შენარჩუნებისათვის იბრძოდა სამხრეთითაც და ჩრდილოეთითაც. იგი მონაწილეა საქართველო-თურქეთის ომისა, ასევე მონაწილეა კოჯრის ტრაგედიისა.

როდესაც ჩვენი მენშევიკური მთავრობის უნიათობის შედეგად, დამპყრობლები კოჯრიდან თბილისში შემოვიდნენ, თბილისში შემოსულ დაქანცულ ჯარისკაცთა შორის ერთი გაჰკიოდა — „რას მოვესწარით, ძმებო, რას მოვესწარით! თბილისს ვტოვებთ! არ შეიძლება ამის ატანა, თავს მოვიკლავ! მან მართლაც ამოიღო ჯიბიდან ნაგანი და თავის მოკვლა დააპირა, მაგრამ ორმა ჯარისკაცმა — გენადი ქადაგიშვილმა და დათა კაჭკაჭიშვილმა იარაღი წაართვეს შეჰკრეს, ორთვალაზე დააგდეს და თავზედ დააწვნენ". დაცემული თბილისის გათოკილი შვილი გახლდათ პავლე ინგოროყვა

ბატონი პავლე თავიდანვე მებრძოლი კაცი იყო და იგი ყველგან იბრძოდა, ფრონტზე, მეცნიერებასა თუ პოლიტიკაში, იგი აღშფოთებული იყო 20-იანი წლების ვაიპოლიტიკანების საქმიანობით, რომელთა მოქმედებას „გაკრეტინებულ სიმტკიცეს" უწოდებდა, და გულისტკივილით წერდა: „დღეს ჩვენი ხელმძღვანელი დასების პოლიტიკური დილეტანტების წყალობით სრულიად უორგანიზაციონი ვართ ეროვნულად და ყოველგვარ რეალურ ძალას მოკლებული ვდგევართ უფსკრულის პირას" — აი, სიტუაციის რეალისტური შეფასება და საბედისწერო წინასწარი ჭვრეტა. მაგრამ ვინ გაიგო, ვინ უსმინა!.

პავლე ინგოროყვა ისეთი წყობის კაცი იყო, რომელიც მთელი ცხოვრება ბობოქრობდა, იბრძოდა იარაღით, იბრძოდა კალმით და იბრძოდა არა მარტო საზღვრების შესანარჩუნებლად, არამედ ამასთანავე, საზღვრებს იქით დარჩენილი ქართული განძის მოსაპოვებლად, ჩვენი სიძველეთა სამშობლოში დასაბრუნებლად. 1922 წლის ივლისში, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ინიციატივით, შეიქმნა შერეული რუსულ-ქართული კომისია, რომელსაც დაევალა რევოლუციამდე სხვადასხვა დროს რუსეთში გაგზავნილ სიძველეთა და საბუთთა დაბრუნება (რევაკუაცია) საქართველოში. ამ კომისიაში მისთვის ჩვეული გატაცებითა და ერთგულებით მუშაობდა ბატონი პავლე, შეადგინა სიები, დაადგინა რა საბუთი, რა განძი იმყოფებოდა, მაგრამ დადგენა რას უშველიდა, როცა არავინ არაფერს არ გიბრუნებდა, აქაც გულგაცრუება ელოდა ქართველ მამულიშვილს.

კაცი, რომელიც სამხრეთ და ჩრდილო საზღვრებზე დამარცხდა, კაცი, რომელსაც პოლიტიკოსებმა არ უსმინეს, საერთოდ ჩამოცილდა თუ ჩამოაცილეს პოლიტიკას, მაგრამ ქვეყნისადმი სიყვარულის უსაზღვრო ძალას რა დაახშობდა. ამიტომაც, თავისი კოლოსალური ცოდნა და ფენომენალური ნიჭი მეცნიერებას მიაპყრო და იქ მიგნებული და გამოვლენილი სიახლეებით გაამდიდრა ჩვენი ეროვნული კულტურა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მისი მოსაზრებები არ იქნა გაზიარებული, მაგრამ ამ გაუზიარებლობითაც სტიმული მისცა ეროვნული მეცნიერების განვითარებას. მაგრამ დღეს გაუზიარებლობასა და საკამათოზე კი არაა საჭირო საუბარი, არამედ აუცილებელია გავიცნობიეროთ, თუ რა სიახლე შეიტანა ბატონმა პავლემ ჩვენს მეცნიერებაში, რა აღმოჩენები და დაკვირვებები ჩამოაყალიბა, რომელთა წყალობით კიდევ უფრო აყვავდა ჩვენი სულიერი კულტურა.

ფართო ერუდიციისა და ინტერესების მქონე მეცნიერმა კვლევის სფეროც მასშტაბურად მოიაზრა, მისი ინტერესების სფეროში მოექცა მთელი ჩვენი კულტურა, დამწერლობის წარმოშობის და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებიდან დაწყებული თანამედროვე მწერლობის უმნიშვნელოვანესი ასპექტით დამთავრებული — ყოველივე ეს მისეული ძიების სფერო გახდა.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ 1924-25 წ. წ. დააარსა ჟურნალი „კავკასიონი", რომელიც აკადემიური ჯგუფის უაღრესად მნიშვნელოვან, მართლაც აკადემიურ ორგანოდ იქცა. ამ ჟურნალში გაერთიანებული იყო იმ დროის ინტელექტუალური ელიტა და განსაკუთრებულად ფასეული იყო მისივე სტატია ჩახრუხაძეთა შესახებ, რომელშიაც მოხაზული იყო ამ ქართველ მეხოტბეთა პორტრეტი და გამოვლენილი იყო „თამარიანის" პოეტური ხიბლი.

ბატონ პავლეს კვლევის გზაზე არ არსებობდა ქრონოლოგიური ჩარჩოები და ამიტომაც, იგი ერთნაირი ენთუზიაზმით და სიღრმისეული ძიებით იკვლევდა როგორც ძველს, ისე ახალ ლიტერატურულ პერიოდებს. მან ფუნდამენტალური გამოკვლევები უძღვნა ვახტანგ ორბელის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებას, მანვე გამოსცა ამ კლასიკოსთა თხზულებათა სრული კრებული, მისთვის ჩვეული აკადემიური კომენტარებით და ტექსტოლოგიური აპარატებით; დღეს შეუძლებელია XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსთა მემკვიდრეობის გაცნობიერება ბატონ პავლეს შრომების გაუთვალისწინებლად.

პავლე ინგოროყვას აკადემიური მეცნიერული დებიუტი იყო 1913 წელს გამოცემული „ქართული სასულიერო პოეზია", ეს იყო ეპოქალური სენსაცია, რადგანაც, ჯერ ერთი, იქამდე პროზად გააზრებული ჰიმნოგრაფიული ტექსტები ახალი მეტრული სტრუქტურის მიგნებით გამოსცა და ახალი სალექსო ზომებად წარმოდგენილი პოეტური ქმნილება წარმოგვისახა, და სენსაციის საფუძველს ქმნიდა ისიც, რომ ეს დიდი სიახლე განახორციელა 20 წლის ჭაბუკმა, ოც წლისაც პირობითად ვამბობთ, რადგან, 1913 წელს, მართალია, წიგნმა იხილა მზის სინათლე, მაგრამ იგი გამართული და დადგენილი იყო უკვე 2-3 წლით ადრე, ე. ი. 17-18 წლის ყმაწვილმა ფენომენალური ინტუიციითა და ასაკისათვის შეუსაბამო განათლებით შექმნა ეტაპი ქართული ჰიმნოგრაფიის კვლევის სფეროში.

აქედან მოყოლებული, ჰიმნოგრაფიის კვლევა გახდა მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი და 1954 წელს, ეს კვლევა დააგვირგვინა ფუნდამენტური წიგნით გიორგი მერჩულე.

ფასდაუდებელია ბატონ პავლეს რუსთველოლოგიური ძიებანი. მან წარმოუდგენლად დიდი წვლილი შეიტანა ტექსტის დადგენასა და გამართვაში, ვეფხისტყაოსნის მისეული ანალიზი კი ლიტერატურათმცოდნეობის შესანიშნავი ნიმუშია, ხოლო რუსთაველისეული შტრიხების გამოკვეთა უაღრესად ამდიდრებს ჩვენს ცოდნას რუსთაველის ცხოვრების გზის გაცნობიერებაში.

ბატონმა პავლე ინგოროყვამ შექმნა ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე კურსი, რომელშიაც ანტიკური ეპოქიდან დაწყებული XVIII საუკუნით დამთავრებული გამოკვეთილია ჩვენი მწერლობის განვითარების ძირითადი ეტაპები. მართალია, ეს კურსი ერთგვარად კონსპექტური ხასიათისაა, მაგრამ თეზისებად გამოკვეთილია არსებითი პრობლემები და ქართული აზროვნების განვითარების მთლიანი ხაზს წარმოაჩენს.

პავლე ინგოროყვას ზემოთ დასახელებული ლიტერატურული სტუდიები, მართალია, ბევრ შემთხვევაში ავლენენ ავტორის პირად შეხედულებებს, მართალია, მასში ჩამოყალიბებულია ავტორისეული საკუთარი პოზიციები, მაგრამ ამავე საკითხებზე სხვა მეცნიერებსაც აქვთ თავიანთი შეხედულებები და კონცეფციები: ეს იქნება დამწერლობის თუ ისტორიული-გეოგრაფიის საკითხები, ჰიმნოგრაფიული თუ რუსთველოლოგიური ძიებები, ყველა ეს საკითხი მეტნაკლებად ბატონ პავლესთან ერთად სხვა ქართველ თუ უცხოელ მკვლევარებმაც გაიხადა თავისი კვლევის სფეროდ, მაგრამ არის ერთი ასპექტი ქართული ცივილიზაციისა, რომელშიაც ბატონი პავლე დღემდე თითქმის განმარტოებით დგას და მხოლოდ მას ეკუთვნის ამ სფეროში პრიორიტეტი — ეს გახლავთ წინაქრისტიანული ქართული ლიტერატურის ისტორია. მან არა მარტო ზოგადად მოხაზა წარმართული ქართული მწერლობის წარმოშობისა და განვითარების ეტაპები, არამედ აღმოაჩინა წინაქრისტიანული ლიტერატურული ნიმუშები და ამით ახალი ეტაპი შექმნა ქართული მწერლობის განვითარების ისტორიაში. მან არა მარტო მიაგნო ქართულ და უცხოურ ცნობებს, წინაქრისტიანული ქართული ლიტერატურის არსებობის შესახებ, არამედ მანვე მიაგნო ქართულ ანალებში შემორჩენილ წარმართული ეპოქის ქართულ ნიმუშებს. იგი დამარწმუნებლად ბრძანებდა, რომ ჩვენს საისტორიო თხზულებებში მოიპოვება ნიმუშები ძველი ქართული მწერლობისა, როგორც ეპიური ჟანრისა, ისე ლირიკულს, ამ უკანასკნელის შედევრია. „დატირება ფარსმან ქველისა", რომელიც ელეგიური ლირიკის უძველესი და ბრწყინვალე ნიმუშია და მისი ცოდნა დღეს ბატონ პავლეს დამსახურებაა, ასევე დიდი ეპიური ქმნილების ბრწყინვალე ნიმუშია თარგამოსის ბრძოლის ამსახველი მომაჯადოებელი სურათი, რომლის სახეთა სისტემა და ბრძოლის დინამიკა იშვიათი გემოვნებით აქვს გაანალიზებული მკვლევარს. ასევე გამოავლინა მთელი რიგი სხვა ეპიური ძეგლების ნიმუშები, რის შედეგადაც, მან შექმნა ახალი და დიდი კურსი ლიტერატურის ისტორიისა. ეს გახლავთ „წარმართული ქართული ლიტერატურის ისტორია" და ეს კურსი წარმოჩენილია არა მარტო გუმანითა და ანალიზით, არამედ კონკრეტული ლიტერატურული ნიმუშებით. ყოველივე ამის შემდეგ - გაკვირვებასაც კი იწვევს, რომ ჩვენი მწერლობის ისტორიას ვიწყებთ იაკობ ცურტაველის ბრწყინვალე ძეგლით, მაშინ, როდესაც მას წინ უსწრებდა დიდი ლიტერატურული ტრადიციები და დღეს მტკიცე საფუძველია იმისა, რომ სასწავლებლებში, განსაკუთრებით კი უმაღლეს სასწავლებლებში იკითხებოდეს კურსი „წარმართული ქართული ლიტერატურის ისტორიისა" და ამ კურსის მესაძირკვლე გახლავთ ბატონი პავლე.

ასე, რომ პავლე ინგოროყვას მეცნიერული მემკვიდრეობა საგანგებო შესწავლის საკითხი უნდა გახდეს და ამ სწავლის პროცესში დაკვირვების ობიექტად უნდა იქცეს არა მარტო მისი ფართო ერუდიცია და ინტერესთა სფერო, მისი იშვიათი პოეტური გუმანი და კვლევა-ძიების უნარი, არამედ ამასთანავე ერთად, მისი უშრეტი ენერგიისა და უტეხი ხასიათის გამოვლენა. ხასიათისაო ვამბობთ იმიტომ, რომ ფიზიკური სისუსტის, აჩრდილად ქცეული კაცის ზღაპრული შრომისუნარიანობა განაპირ შინაგანმა ენერგიამ და ხ თის საოცარმა სიმტკიცემ, მელიც უამრავ სფეროში დებოდა, და ამის ნათელს ად, შემდეგი ფაქტიც მრა მეტყველია, კერძოდ, ბა პავლეს ხასიათის ერთი ნიშანდობლივი თვისება ის იყო, რომ ეს სუსტი, ნაზი, ფერმკრთალი კაცი საოცარი, შეუპოვარი და უკომპრომისო იყო ყოველგვარ პაექრობაში, მეცნიერული იქნებოდა ის თუ პოლიტიკური. ამის აშკარა გამოვლენა იყო, როდესაც იგი სიცოცხლის ფასის ტოლძალოვანი თავგანწირვით მიუხდა კაცისმჭამელ სერგო ორჯონიკიძეს და ორი დიდი და ნათელი სიცოცხლის გადარჩენა მოინდომა: ლევან რაზიკაშვილისა და მიხეილ ჯავახიშვილის ხსნას თხოვდა, მაგრამ ამაოდ. პირიქით, მათი სიცოცხლის მავედრებელი თვით კინაღამ შეეწირა მტარვალის რისხვას და მართალია, ეს ორი უმწიკვლო მამულიშვილი ვერ იხსნა, მაგრამ ორჯონიკიძეს დააცდევინა ისტორიული ფრაზა: „შვილი კი არა, თვით ვაჟა-ფშაველა რომ იყოს ცოცხალი, იმასაც დავხვრეტავდით". და ეს ვანდალური ფორმულა შეუნახა კაცობრიობას, როგორც ბოლშევიკური აზროვნებისა და სტილის კლასიკური, ამომწურავი ნიმუში.

პავლე ინგოროყვა დგას ქართველ მეცნიერთა პარნასზე და იგი ღირსეული თანამოკალმეა ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძისა და აკაკი შანიძის. ჩვენი მეცნიერების ამ გოლიათებს აერთიანებს არა მარტო განსწავლულობა, ერუდიცია, ნიჭიერება, აზროვნების ძალა და მამულიშვილობა, არამედ ტანჯული ბიოგრაფია. ნიკო მარს ბრალად დასდეს ენათმეცნიერება მარქსისტული თეორიით ვერ გააშუქაო, უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან გააძევეს. ქრისტიანული ცივილიზაციის, სასულიერო მწერლობის დიდ ერუდიტს კორნელი კეკელიძეს ეს ცოდნა ბრალდებად უქციეს და არა აქტუალობის გამო ამ სფეროში კვლევა აუკრძალეს, ხოლო, როდესაც ბატონმა კორნელიმ ქართული მწერლობის მსოფლიო კონტექსტში გააზრება შესძლო, კოსმოპოლიტობად მონათლეს და ჯვარს აცვეს, ბატონ აკაკი შანიძეს მთელი ცხოვრების მანძილზე არ აპატიეს სიჭაბუკეში ნათქვამი ფრაზა „ნუ გაალებ დარიალსა, გურჯი ბოლაზს გაუფრთხილდიო" და ამის გამო, გარიყვა მოუნდომეს, ხოლო ბატონი პავლე საერთოდ გარიყეს ოფიციოზიდან, ასეთი ბიოგრაფიული შტრიხები აერთიანებს ჩვენი მეცნიერული პარნასის მკვიდრთ. მაინც საოცარი სენი გვჭირს: ღირსეულთ სიცოცხლეში ჯვარს ვაცმევთ და სიკვდილის შემდეგ კი განვადიდებთ და გუნდრუკს ვუკმევთ. კაცმა რომ თქვას, ჩვენც ამ ფაქტის მოწმენი ვართ. მაგრამ დღესვე ეყრება საფუძველი ისტორიულ სამართლიანობას, ბატონი პავლე ინგოროყვას დიდი დამსახურების გაცნობიერებასა და აღიარებას.

რადგანაც ამ კეთილ და სამართლიან გზაზე ვდგავართ, ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია, მწერალთა კავშირის თავკაცების ინიციატივით, დაისვას საკითხი პავლე ინგოროყვას გამოუცემელი თხზულებების დასტამბვისა.

რევაზ ბარა

ინფორმაცია 93

სასჯელის უმაღლესი ზომა მიესაჯა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრესცენტრში საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს, რომ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განიხილა საქმე სპირიდონ რისტომის ძე ჯაჯანიძის ბრალდების გამო.

1993 წლის 8 აპრილს, დაახლოებით 15 საათზე, ჭიათურა-საჩხერის საავტომობილო გზაზე ვაზ-21013 ჟიგულის მარკის ავტომანქანაში, რომელსაც მართავდა მამუკა გურამის ძე მარშანია, ისხდნენ მისი მეგობრები — გიორგი მჭედლიშვილი და პეტრე გუდაძე. როდესაც მამუკა მარშანიამ ჩაუქროლა მთვრალ, ავტომატით შეიარაღებულ სპირიდონ ჯაჯანიძეს, რომელიც გზის პირას იდგა და ავტომანქანაში მსხდომ თავის ნაცნობებს ესაუბრებოდა, სპირიდონ ჯაჯანიძემ ხულიგნური ქვენაგრძნობით რამდენჯერმე ესროლა ავტომანქანას. ს. ჯაჯანიძის მიერ ნასროლმა ტყვიამ მამუკა მარშანია იმსხვერპლა, მანქანაში მსხდომ სხვა მგზავრების სიცოცხლეს კი რეალური საფრთხე შეუქმნა.

სასამართლო კოლეგიამ სპირიდონ ჯაჯანიძეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა.

●

პური მხოლოდ მაღაზიებში გაიყიდება

25 ნოემბერს თბილისის პურის მეორე ქარხანაში მოხდა ინციდენტი. ხალხი ცდილობდა შეჭრილიყო ქარხნის ტერიტორიაზე. მე-11 ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებმა, რომლებიც იცავდნენ ამ საწარმოს ტერიტორიას, გამაფრთხილებლად ისროლეს ჰაერში. ავტომატური ჯერი მოხვდა ქარხნის შიშკრის ბეტონის ჭერს. რიკოშეტით ასხლეტილი ტყვიებით დაიჭრა 3 მოქალაქე.

იმის გამო, რომ მოქალაქეები ახერხებენ ქარხნის ტერიტორიაზე მოხვედრას და პირდაპირ საამქროებიდან გააქვთ დიდი რაოდენობის პური, საწარმო ვეღარ აწვდის პროდუქციას სავაჭრო ქსელს. ქარხნის დირექცია აცხადებს, რომ საწარმოდან პური აღარ გაიყიდება. მე-11 ბრიგადის ხელმძღვანელობა, რომელსაც დავალებული აქვს შენობისა და მისი ტერიტორიის დაცვა, მოქალაქეებს, აგრეთვე გვარდიისა და პოლიციის თანამშრომლებს სთხოვს, ნუ შეეცდებიან ქარხნის ტერიტორიაზე შესვლას. ძალადობის შემთხვევაში მიღებული იქნება უმკაცრესი ზომები.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური.

●

პოლიციის შენობას ხელყუმბარა ესროლეს

22 ნოემბერს, საღამოს 19 სთ. ხარაგაულის პოლიციის რაიგანყოფილების შენობას თავს დაესხა შეიარაღებულ ბოროტმოქმედთა ჯგუფი. მათ ხელყუმბარა ესროლეს შენობას იმ მიზნით, რომ აეფეთქებინათ სამორიგეო ნაწილი და იქ მყოფი ოპერატიულ მუშაკთა ჯგუფი. ბედად ხელყუმბარა მოხვდა ფანჯრის რკინის ბადეს, უკან გადავარდა და შენობიდან ერთ მეტრში აფეთქდა. აფეთქების შედეგად დაზიანდა იქვე მდგომი ავტომანქანა, დაიმსხვრა სამორიგეო ნაწილისა და პოლიციის უფროსის კაბინეტის ფანჯრები, შენობის ინტერიერს ჩამოეშალა ბათქაში. აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია. მიმდინარეობს გამოძიება.

ჰენრი შარიქაძე.

„იბერიის" ლენტიდან

თბილისი. ქალაქ თბილისის მერიის პრესსამსახურიდან გვაცნობეს, რომ 28 ნოემბერს ინგოროყვას ქუჩა № 19 (ყოფილი ძერჟინსკის ქუჩა) ხანძარი გაუჩნდა საცხოვრებელ სახლს, რომელიც მთლიანად დაიწვა და 20 ოჯახი ღია ცის ქვეშ დარჩა.

ცხინვალი. ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, 800-გრამიანი უმაღლესი ხარისხის პურის ფასი გახდა 120 მანეთი, პირველი ხარისხისა — 110 მანეთი, მეორე ხარისხის — 100 მანეთი, ხოლო 800-გრამიანი თონის პურის ფასი გახდა 140 მანეთი. პურის ფასის მომატებასთან დაკავშირებით, მოსახლეობას მიეცემა თვიური კომპენსაცია 1000 მანეთის ოდენობით. ამავე დადგენილებით შემოღებულია პურზე საბარათო სისტემა.

ჭადრაკი

გერმანიის ქალაქ ბად-ვილდბადენში დასრულდა მოჭადრაკეთა მესამე მსოფლიო ჩემპიონატი „სენიორთა" (60 წელზე უფროსი ასაკის სპორტსმენთა) შორის. 153 მონაწილე, რომელთა შორის იყვნენ 7 საერთაშორისო დიდოსტატი და 10 საერთაშორისო ოსტატი, ერთმანეთს ეჯიბრებოდა შვეიცარიული სისტემით — 11 ტურად. ერთბაშად 3 ვეტერანმა ფინიშზე ერთნაირი შედეგი — 8,5 ქულა უჩვენა.

უკეთესი კოეფიციენტის წყალობით გაიმარჯვა სანქტ-პეტერბურგელმა საერთაშორისო დიდოსტატმა მარკ ტაიმანოვმა. ვერცხლის მედალი გადაეცა თბილისელ საერთაშორისო დიდოსტატს ბუხუტი გურგენიძეს, რომელმაც 7 პარტია მოიგო, 3 ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ 1 წააგო, ისიც ჩემპიონთან. მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა მოსკოველი საერთაშორისო ოსტატი ვლადიმერ არხანგელსკი.

ინდოეთში დასასრულს მიუახლოვდა მსოფლიო ჩემპიონატი 18 წლამდე ასაკის გოგონათა შორის, რომელშიც ჩინებულად თამაშობს თბილისელი საერთაშორისო ოსტატი ნინო ხურციძე.

ქართველი მოჭადრაკე ფინიშამდე 2 ტურით ადრე 7,5 ქულით, (9-დან 6 მოგება, 3 ყაიმი) ერთპიროვნულად ლიდერობს ასპარეზობას. იგი ნახევარი ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს — თურქმენეთის წარმომადგენელს ოვეზოვას.

ჩოგანი

ძიუდო

1 „ოქრო", 1 „ვერცხლი", 2 „ბრინჯაო" და გუნდური მეორე ადგილი — ასეთია 1973-75 წლებში დაბადებულ ქართველ ძიუდოისტთა მიერ ჰოლანდიის ქალაქ როდენდალში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე მოპოვებული წარმატება.

კონტინენტის ჩემპიონი 60 კგ წონით კატეგორიაში გახდა გორელი გიორგი ვაზაგაშვილი („შევარდენი"). ტურნირის მეორე პრიზიორი გახლავთ ახმეტელი მძიმეწონოსანი ალექსანდრე დავითაშვილი („დინამო"). კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდნენ გორელი ანატოლი ავაზნელი („შევარდენი") და თბილისელი თამაზ ცოფურაშვილი (95 კგ. „მართვე").

აღსანიშნავია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდი გამარჯვებულს — რუსეთს მხოლოდ ოქროს მედლების ნაკლები რაოდენობით (2) ჩამორჩა.

სულ სარბიელზე გამოვიდნენ 31 ქვეყნის წარმომადგენლები.

კალათბურთი

თბილისის ვერის ბაღის ბავშვთა საკალათბურთო კომპლექსში გრძელდება ვაჟთა მესამე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტურის შეხვედრები. გთავაზობთ პირველი სამი დღის ზოგიერთი კალენდარული მატჩის შედეგს: „კაქტუსი"-„ჯიხვი" — 73:65, „ვითა"-„თორსი" — 97:54, „თბილისი"-„მერანი" — 99:59, „კაქტუსი"-„დინამო" — 73:64, „მერანი" — „აზოტი" — 88:80, „ვითა"-„ჯიხვი" — 76:53.

2 დეკემბერს 16 საათზე გაიმართება გათამაშების ცენტრალური ორთაბრძოლა: „ვითა"-„თბილისი".

რეპლიკა

გრაფიკას გრაფიკით...

როგორც ჩანს, ბატონმა იური პედიამ („საქენერგოს" უფროსმა) თავისი სატელევიზიო გამოსვლით ერთგვარად შეგვამზადა იმ მძიმე და მშიერი ზამთრისთვის, რომელიც წელს გვექნება გასავლელი. მეორე დღეს კი თბილისის ელქსელის ხელმძღვანელობამ იმავე ტელევიზიით ქალაქში ელექტროგამორთვების ოფიციალური გრაფიკიც გაგვაცნო.

გრაფიკი გარანტიას გვაძლევდა, რომ მუხიანის დასახლებაში (მე აქ ვცხოვრობ), მაგალითად, კენტ რიცხვებში დენი გამოირთვებოდა დილის 9 საათიდან 13 საათამდე, და შემდეგ საღამოს 17 საათიდან 19 საათამდე. დასახელებული იყო ლუწი რიცხვების „პროგრამაც", მაგრამ მეხსიერებამ მიღალატა და ვეღარ დავიმახსოვრე.

რას იზამ, გავიფიქრე ჩემთვის, როცა ქვეყანაში ასეთი გასაჭირია, მისი შედეგები ყველამ თანაბრად უნდა გავინაწილოთ — სინათლეც უნდა მოვიკლოთ, საჭმელიც და ჩასაცმელიც. მერე გეგმაც დავაწყე: დილის 9 საათამდე წვერის გაპარსვასაც მოვასწრებდი, დაუშაქრავი ჩაის დალევასაც და „ალიონის" მოსმენასაც. მართალია, სამსახურიდან დაბრუნებულს ცივი სადილის ჭამა მომიწევდა, მაგრამ სამაგიეროდ „მაცნეს" ყურებამოსმენის შანსი მეძლეოდა და ეს მაიმედებდა.

ამის ფიქრში ვიყავი, რომ დენი გამოირთო (I მიკრორაიონში) და ორ დღეს აღარც გამოჩენილა. ასეთ „უვერტიურას" ზედ დაერთო გაუთავებელი, უსისტემო ჩართვა-გამორთვები, რომელიც ჩვენს უბანში (სხვაგან არ ვიცი) ცხოვრების ნორმად იქცა. ამას შეიძლება თავისი ახსნაც მოეძებნოს: ერთობ უპრესტიჟო დასახლებაა (თუ მუხიანში ცხოვრობ, კეთილინებე და ბნელშიც იჯექი), აქ ყველაფერი ელექტროენერგიით მუშაობს და გამორთვა დიდად მომგებიანია (მერე რა, რომ ათასობით თოთო ბავშვი და დავრდომილი მოხუცი უმწეო მდგომარეობაში ვარდება), დასახლებაში ტელეფონი არ არის და თელასს რეკვით ვერავინ შეაწუხებს (იგივე მდგომარეობა ყოფილა დიდ დიღომშიც, როგორც იქ მცხოვრებმა ჩემმა კოლეგებმა მითხრეს).

თუმცა ხომ შეიძლება უსინათლობით გაწამებულმა მოქალაქეებმა ადგილზე მიაკითხონ ან სამსახურიდან დაურეკონ? მე პირადად არაერთგზის ვცადე თელასის ხელმძღვანელის ბატონ ზურაბ გურგენიძის შეწუხება, მაგრამ ყურმილი არავინ (მდივანმა ქალმაც კი) არ აიღო. არადა, უფროსს ორი თუ სამი ტელეფონი უდგას (თუ ხმა არავინ გაგცა, გინდა ხუთი დაუდგი, რა...).

არადა, ტელეფონით რომ დავლაპარაკებოდი, იქნებ ეს რეპლიკა აღარც დამეწერა. თუმცა დღეს რეპლიკით ვის დაანამუსებ. ისეთი ცხოვრება დაგვიდგა, არავინ არავის და არაფრის წინაშე პასუხს არ აგებს, და რაღა მაინც და მაინც ენერგეტიკოსები დაფრთხებიან კრიტიკით? ეგ კი არა, თუ ჭკვიანად არ ვიქნებით, შეიძლება გულიც მოუვიდეთ და მუხიანელები (თელავის მატარებელივით) სულაც გრაფიკიდან ამოგვაგდონ.

თუმცა, გრაფიკას გრაფიკით მუშაობას (თუ წინა წლების გამოცდილებას დავუჯერებთ), შეიძლება უგრაფიკობაც სჯობდეს. ენერგეტიკოსების გულმოწყალების ამბავი რომ ვიცი, ისინი ვერც თანამდებობის პირებს აწყენინებენ, ვერც ძმაბიჭებს, ვერც ნათესავებს და... მაგრამ გრაფიკი ხომ მაინც უნდა არსებობდეს? ჰოდა, ისინიც გრაფიკით მუშაობენ, მორჩა და გათავდა!

ასე რომ, მე და თქვენ (ვისაც თელასში ნათლიმამა არა ჰყავს), ჩემო ძვირფასო თბილისელებო, როგორც ჩანს, წელსაც გრაფიკას გრაფიკით მოგვიწევს ზამთართან შეჭიდება.

ოთარ ხუციშვილი.

საერთაშორისო კვლევისა და გაცვლის საბჭო

აცხადებს ღია კონკურსს ამერიკის შეერთებულ შტატებში 3, 6 ან 8-თვიანი სტაჟირებისათვის.

კონკურსზე დაიშვებიან ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებათა კანდიდატები ან პირები, რომლებიც მუშაობენ თავიანთ საკანდიდატო თემებზე.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თემის რეფერატი და წარმოაჩინონ ენის სრულყოფილი ცოდნა.

ანკეტების მიღება შეიძლება ამერიკის საელჩოში თბილისში (ათონელის ქ. 25), საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროში (უზნაძის ქ. 52).

საინფორმაციო კონსულტაციები ჩატარდება ხუთშაბათს, 2 დეკემბერს, 12:00 – 14:00 და პარასკევს, 3 დეკემბერს, 13:00 – 15:00.

განათლების სამინისტროში, მეორე სართულზე.

საკონტაქტო ტელეფონებია: 98-99-68, 98-99-67.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური საბჭოს

განცხადება

პურის პრობლემასთან დაკავშირებით

პურზე, ერთის მხრივ, ფიქსირებული ფასების მკვეთრი გაზრდით, ხოლო მეორე მხრივ, პურზე ნაწილობრივ თავისუფალი ფასების დაწესებით, ვერ გადაწყდება პურით მოსახლეობის მომარაგების პრობლემა.

რა თქმა უნდა, პურის დაბალი ფასები თავისთავად სპეკულაციას წარმოშობს. მაგრამ პურის სპეკულაციასთან საბრძოლველად შემოთავაზებული ხერხი თავის მოტყუებაა. პურის ფიქსირებული ფასების მომატება მოსახლეობაზე საკომპენსაციო თანხების გაცემით პურზე რიგებს ვერ მოსპობს. ასევე ვერ მოსპობთ სპეკულაციას პურზე, ნაწილობრივ თავისუფალი ფასების შემოღებით. ამით მაფიას საშუალება ეძლევა, ჩაატაროს მორიგი მანიპულაციები.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური საბჭო კატეგორიულად მოითხოვს, არ იქნას დაშვებული პურზე თავისუფალი ფასები. როგორც არაერთხელ განგვიცხადებია, შემოღებული უნდა იქნას პურზე საბარათო სისტემა. ერთ სულზე უნდა გაიცეს ნორმირებული პური. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი თითოეული მოქალაქის პურით უზრუნველყოფა. არანორმირებული განაწილების დროს, მოსახლეობის არც თუ ისე უმნიშვნელო ნაწილი საერთოდ უპუროდ რჩება. ეს მაშინ, როდესაც, ბევრისათვის შექმნილ ექსტრემალურ ვითარებაში პური კვების ერთადერთ პროდუქტად იქცა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური საბჭო.

16. 11. 93 წ.


შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
»არგოსი»

გთავაზობთ ამერიკული თამბაქოსგან დამზადებულ „LM" და "Magna"-ს კლასის სიგარეტს (მაგარ კოლოფებში)

BROOKLYN

სიგარეტი შეგიძლიათ შეიძინოთ როგორც ნაღდი ანგარიშით, ისე გადარიცხვითაც დღევანდელი ინფლაციის პირობებში სრულიად ხელმისაწვდომ ფასებში. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი — თანხის გადახდის დღეს ქ. თბილისში. საქონლის რაოდენობა — შეუზღუდავი.

სიგარეტის ყიდვის მსურველებს შეუძლიათ დარეკონ 99-72-07

თეატრი

ისევ ბრეხტი!..

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა ამ დღეებში მორიგი სეზონი გახსნა. მაყურებელმა ოვაცია გაუმართა თხუთმეტი წლის წინათ დადგმულ, დღეს უკვე მითიურად მიჩნეულ სპექტაკლ „კავკასიურ ცარცის წრეს". ეს სისხლსავსე და ფერადოვანი წარმოდგენა დღესაც ელვარებითა და სინედლით გამოირჩევა, იგი არც დაშლილა და არც დაბერებულა.

უაღრესად სასიამოვნო და მნიშვნელოვანია ამ სცენური ქმნილების გამოახლება, რუსთაველის სცენას კვლავ ამშვენებს მისი უპირველესი ვარსკვლავი — რამაზ ჩხიკვაძე.

ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს ბატონ რობერტ სტურუას. აი, რა გვითხრა მან:

— „კავკასიური ცარცის წრე" ბატონ რამაზ ჩხიკვაძის თხოვნით აღვადგინეთ. სიმართლე გითხრათ, არც ველოდი, თუკი აღდგენილი სპექტაკლი მაყურებლის ასეთ ცხოველ ინტერესს გამოიწვევდა.

— როგორც ჩანს, იგი მეტად ზედროულია...

— დიახ, მეც ასე მგონია, ახლა კი ვმუშაობთ ახალ სპექტაკლზე, ვდგამ ისევ ბრეხტის „სეჩუანელ კეთილ ადამიანს", რომლის პრემიერასაც ნოემბრის ბოლოს შევთავაზებთ მაყურებელს.

ვცდილობთ ფართოდ გავუღოთ ჩვენი თეატრის კარი ახალგაზრდა რეჟისორებს: ანდრო ენუქიძე დადგამს დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერებას", ლევან წულაძეს გეორგ ბუხნერის „ვოიცეკის" დადგმა სურს. ოთარ ეგაძე იონესკოს დრამატურგიაზე იმუშავებს, ხოლო დათო საყვარელიძეს რამდენიმე პიესა აქვს ხელთ. არჩევანიც მისია.

პირადად მე ისევ ვოცნებობ სპექტაკლი მივუძღვნა ქართულ ანბანს, განუწყვეტლივ ვფიქრობ მის ფორმასა და გადაწყვეტაზე, მაგრამ ამ ეტაპზე ყველაზე მეტად პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარეზე" ვფიქრობ. ამჯერად მე მას სულ სხვაგვარად დავდგამდი, მასში სულ სხვა ახალ პლასტებს წარმოვაჩენდი. მსურს მეორედ მივუბრუნდე ამ დრამატურგიულ მასალას და სხვა სცენური სინამდვილე შევქმნა, ვნახოთ, რა გამოვა ამ სურვილიდან.

არ შემეძლო გულგრილად შევხვედროდი ჩვენი სოხუმელი მეგობრების გასაჭირს. სოხუმის ქართული თეატრის დასი დროებით ჩვენთან დაიდებს ბინას, დედაქალაქის მაყურებელს შესაძლებლობა ექნება რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში იხილოს ხოლმე სოხუმელთა სპექტაკლები.

ესაუბრა

გიორგი ლალიაშვილი.

დღეს თუ გამოიწერთ, ხვალ მოგებული იქნებით!



ყველაზე მეტად სწორედ ახლა, ამ არეულ დროს სჭირდება ჩვენი გაზეთი თითოეულ თქვენგანს, თქვენს ოჯახებს, ძვირფასო მეგობრებო!

თუ გსურთ ოპერატიულად შეიტყოთ ახალი ამბები, გაერკვეთ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ პროცესებში, ეკონომიკაში, თვალი გაადევნოთ მსოფლიოში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, იჩქარეთ, გამოიწერეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", ვიდრე მისი ერთი ნომრის ფასი ყველაზე იაფია, თორემ, რა იცით, ჩვენი კუპონის შემხედვარე ხვალ-ზეგ რა ფასებზე დავდგეთ.

მაშ, ნუ დაელოდებით გამოწერის უკანასკნელ ვადას — 5 დეკემბერს, ახლავე მოისტუმრეთ ეს საქმე, ხვალ მოგებული იქნებით!

„საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერა შეუფერხებლად შეიძლება „საქპრესის" ნებისმიერ განყოფილებაში. ჩვენი ინდექსია 66434.

მხატვარი ვახტანგ კუცია.

ხსოვნა

მერი ესაკია

გარდაიცვალა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხოურ ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის საღამოს ფაკულტეტის ინგლისური ენის კათედრის გამგე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერი ვასილის ასული ესაკია.

ქალბატონ მერი ესაკიას სახით ქართულმა პედაგოგიურმა საზოგადოებამ დაკარგა ინგლისური ენის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი, მეცნიერი, მომავალ სპეციალისტთა აღზრდისათვის დაუღალავი მზრუნველი, მრავალი სადიპლომო და სადისერტაციო ნაშრომის მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელი, ერთ-ერთი მათგანი, ვინც ჭეშმარიტად ამართლებდა დოქტორისა და პროფესორის სახელს, და ბევრ შემთხვევაში, უკვე დავიწყებულ კეთილშობილებას ანიჭებდა ამ ხარისხსა და წოდებას. ეს, რა თქმა უნდა, ცოტა არ არის, მაგრამ ის მძიმე სევდა, რომელმაც მისი კოლეგები და მეგობრები მოიცვა, უფრო მეტი რამითაც არის გამოწვეული: ჩვენგან წავიდა უმწიკვლო ადამიანი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე იძლეოდა მაღალი ზნეობისა და მოქალაქეობრიობის, პედაგოგიური ვალისადმი ერთგულების განუმეორებელ მაგალითს. სწორედ იმ მაგალითს, რომლის გარეშეც დღეს ძნელია გაუძლო მოზღვავებულ სიბნელეს, ძნელია შეინარჩუნო უკეთესი მომავლის რწმენა. სწორედ ასეთ მაგალითად რჩება ჩვენს გულსა და მეხსიერებაში ქალბატონი მერი ესაკია.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხოურ ენათა სახელმწიფო ინსტიტუტი.

ოთარ სიგუა

გარდაიცვალა ქართული ნეიროქირურგიული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, რესპუბლიკის მთავარი ნეიროქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ აკაკის ძე სიგუა.

ოთარ სიგუა დაიბადა 1923 წელს.

ათეული წლების მანძილზე იგი მონაწილეობდა ნეიროქირურგთა და ნევროპათოლოგთა რესპუბლიკურ, საოლქო, საკავშირო კონფერენციების, საერთაშორისო კონგრესებისა თუ სიმპოზიუმების მუშაობაში. მრავალჯერ იყო მივლინებული საზღვარგარეთ: მონაწილეობდა კოპენჰაგენის, ვარშავის, ბრატისლავის, მოსკოვის საერთაშორისო კონგრესების მუშაობაში, სადაც იცავდა სამამულო ნეიროქირურგიის ღირსებას.

ო. სიგუა ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას. მის კალამს ეკუთვნის 150-მდე მეცნიერული ნაშრომი.

ოთარ სიგუა არჩეული იყო რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს წევრად, ნ. ბურდენკოს სახელობის „ვოპროსი ნეიროქირურგიის" სარედაქციო საბჭოს წევრად.

1982 წელს ავტორთა ჯგუფთან ერთად მას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება. 1966 წელს დაჯილდოვდა „ჯანმრთელობის წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით. მიღებული აქვს ნ. ბურდენკოს 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო მედალი. სამამულო ომში საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოვდა საბრძოლო ორდენით და მედლებით.

ცნობილი დასტაქრის და ღვაწლმოსილი მეცნიერის, არაჩვეულებრივი მასწავლებლისა და მეგობრის ნათელი სახე მარად დარჩება მისი მეგობრებისა და მოწაფეების, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის ხსოვნაში.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; აკადემიკოს პ. სარაჯიშვილის სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტი; აკადემიკოს პ. ქავთარაძის სახელობის ნევროპათოლოგთა და ნეიროქირურგთა სამეცნიერო საზოგადოება; ს. ყიფშიძის სახელობის თბილისის ნევროპათოლოგთა საზოგადოება, საქართველოს ნევროპათოლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაცია.

გალაქტიონ პაიჭაძე

გარდაიცვალა ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი გალაქტიონ პაიჭაძე.

იგი იყო მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, ლეგენდარული „კატიუშების" საბრძოლო ნაწილის მეთაური, მრავალი მოგონებისა და წიგნების ავტორი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოში ვეტერანთა მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი. გ. პაიჭაძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია მისი ოჯახის, მეგობრებისა და თანამებრძოლებისათვის.

გალაქტიონ პაიჭაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და თანამებრძოლების გულში.

საქართველოს ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო; საქართველოს ომის ვეტერანთა რესპუბლიკური კომიტეტი.

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი თანაგრძნობას უცხადებს ანსამბლის სოლისტს თამაზ ციციაშვილს დედის

ეთერ ციციაშვილ-ჯანაშვილის

გარდაცვალების გამო.

ფირმა „საქგვირაბმშენის" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება

ავთანდილ გიორგის ძე თეთრუაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

რედაქციისაგან:

იმის გამო, რომ პარასკევს, 26 ნოემბერს გვიან ღამით საგაზეთო კორპუსში ელექტროენერგია გამოირთო, ვეღარ დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის 27 ნოემბრის ნომერი.

დღეს „საქართველოს რესპუბლიკის" ხელმომწერი სამშაბათის ნომერთან ერთად მიიღებს შაბათის ნომერსაც.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 89.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერი 0466.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434